საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფაფიულებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 14 ივნისი. 2016 წ. №108 (8000), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

13 ივნისი, 2015 წელი:

შემაძრწუნებელია თითოეული წუთის გახსენება

ასე იყო ერთი წლის წინათ

ასეა ერთი წლის შემდეგ

იხ. 2,11 გვ.

დიმიტრი ქუმსიშვილი პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნა. შესაბამისი განკარგულება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ გამოსცა.

დღემდე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტში ორი ვიცე-პრემიერის თანამდებობა არსებობდა, რომელსაც დიმიტრი ქუმსიშვილი და კახა კალაძე იკავებდნენ.

მერაბიშვილს სტრასბურგის იმედი ტყუილად აქვს

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა გამოაცხადოს სტრასბურგის სასამართლომ, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმეზე უკვე გამოტანილი განაჩენი არ შეიცვლება და მისი ვადამდე ადრე გათავისუფლება არ იგეგმება.

თეა წულუკიანის განცხადებით, ვანო მერაბიშვილი რიგითი პატიმარია და ქართულმა მხარემ არ ჩათვალა საჭიროდ სტრასბურგში საქმეზე ზეპირი განხილვა მოეთხოვა და რესურსები ზედმეტად დაეხარჯა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვანო მერაბიშვილის საქმეზე გადაწყვეტილებას დღეს გამოაცხადებს.

ზაალ ანჯაფარიძე:

„ქართულ ოცნებას“ დღეს ჰაერივით სჭირდება ბიძინა ივანიშვილის დახმარება

7



ფეხზე ადექით, სასამართლო მოდის!

4

ციდან ჩამოვარდნილი ძვალი

SOS:

საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არაკონსტიტუციური და მიკერძოებულია!

3

„ოცნება“ აქაც ლიდერი უნდა იყოს!

2

კალაძეს რთულ პირობებში მოუწევს გუნდის კაპიტნობა

„КАСПІЙ“ (აზერბაიჯანი):

სომხეთი საქართველოსთან დაკავშირებით ჯიუტი ვირივით იქცევა

8

12

აფხაზეთი მსოფლიოს ჯერ კიდევ აუთვისებელი ტურისტული საგანძურია!

როგორ და რაში იხარჯება მილიონები?

4

თბილისური ტრაგედიის წლისთავი

საქართველოს პრეზიდენტი 13 ივნისს დაღუპულთა მემორიალთან პირველ ლედისთან ერთად მივიდა და გასულ წელს, თბილისში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც შარშან ერთსულოვნად ებრძოდა სტიქიას და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობდა.

„დღეს ჩვენ ვიხსენებთ შარშანდელი ტრაგედიის მსხვერპლებს და შარშანდელი ტრაგედიის გმირებს. ეს ადგილი, სადაც დღეს ჩვენ ვართ, მუდმივად გაგვახსენებს იმ ძალიან მძიმე წუთებს, რომელიც შარშან ყველამ ერთად გადავიტანეთ და რომლის დასაძლევადაც გაერთიანდა ძალიან ბევრი ადამიანი“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შემაძრწუნებელია თითოეული წუთის გახსენება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომა 13 ივნისის ტრაგედიის გახსენებით დაიწყო, რომელსაც 21 ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დღემდე დაკარგულად ითვლება.

„ნამდვილად გვანუგეშებს ასევე ჩვენი ახალგაზრდობის კონსოლიდაცია, რომელიც მართლაც ისტორიული იყო იმ დღეებში. ალბათ, მადლობის თქმაც უადგილოა და უბრალოდ, აღფრთოვანება უნდა გამოვხატო იმ ახალგაზრდა თაობის თითოეული წარმომადგენლის მიმართ, რომლებმაც სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში ძალიან მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს. როდესაც ასეთ მოვლენებს იხსენებ, როგორიც არის 13 ივნისი, 9 აპრილი, გიჩნდება კითხვა, მაინცდამაინც ასეთი უბედურება უნდა დაგვემართოს, რომ ადამიანებს უფრო მეტად უყვარდეთ ერთმანეთი და ასეთი ერთიანობის გრძნობა იყოს ერში. თუმცა, ნამდვილად გამამხნევებელია თითოეული ჩვენგანისთვის იმ კონსოლიდაციის შეგრძნების გახსენებაც კი“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ 65 ოჯახს მთავრობამ საცხოვრისის შესაძენად თანხა უკვე გამოუყო, უდიდესი უმრავლესობა უკვე დაბინავებულია და პროცესი გრძელდება, ბევრი ადამიანის ბინას კი სარემონტო სამუშაოები უტარდება. დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 40 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, აღდგა ზოოპარკის დაზიანებული ინფრასტრუქტურა, სხვადასხვა ქვეყანამ გამოიჩინა კეთილი ნება და გადმოგვცა ცხოველები. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომზადდა დასკვნა იმ ზონების შესახებ, სადაც ცხოვრება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშია, რაც მომავალში რისკს აგვაცილებს“.

მთავრობის მეთაურმა გასულ წელს დაღუპული მაშველი ზურაბ მუზაშვილი გაიხსენა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე 8 ადამიანის გადარჩენას შესწირა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, სიმბოლურია, რომ 13 ივნისის ტრაგედიიდან ერთი წლის თავზე, საქართველოს მთავრობა მეხანძრე-მაშველებისა და მაშველებისთვის სამართლებრივი და სოციალური უზრუნველყოფის პაკეტის გაუმჯობესების ინიციატივას განიხილავს, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით მომზადდა.

ზარალის აღსადგენად მერიას 40 მილიონ ლარზე მეტი აქვს დახარჯული

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გივი კუბლაშვილმა 13 ივნისის სტიქიიდან ერთი წლისთავზე გაწეული სამუშაოები შეაჯამა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ზონაში დაგეგმილ ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება.

მისი ინფორმაციით, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღსადგენად მერიამ ამ დროისათვის, 40 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა.

„წყნეთის ქუჩაზე მოეწყო 220-მეტრიანი დაახლოებით 14 მეტრი სიმაღლის დამცავი კედელი, რომელიც დაახლოებით 3 მილიონ 700 ათასი ლარი დაჯდა.

ასევე ჩვენ დავიწყეთ მუშაობა კალაპოტის ფორმირებაზე. დაახლოებით, ამ თვის ბოლომდე დაიწყება „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე კალაპოტის ფორმირება, რომელიც დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაჯდება. მოეწყობა საფეხმავლო დამბა, ასევე მასზე განთავსდება ველობილიკი და „მზიურში“ საერთოდ მოეწყობა რეკრეაციული და მოსასვენებელი ზონა“, — აღნიშნა გივი კუბლაშვილმა.

დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრნენ.

„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა გადავწყვიტეთ, მოვსულიყავით 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა მემორიალთან, რათა პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას და არ დავივიწყოთ ის ადამიანები, რომლებიც ამ უმძიმეს ტრაგედიას შეეწირნენ“, — აღნიშნა ქეთი თაბაგარმა.

◎ „ოცნება“ აძაც ლიდერი უნდა იყოს!

კალაძეს რთულ პირობებში მოუწევს გუნდის კაპიტნობა

არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებისთანავე, პარტიები წინასაარჩევნო რეჟიმზე გადავიდნენ. **„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი კახა კალაძეს ჩაბარდა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კახი კალაძის გამორჩეული კაპიტნის თვისებები ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღირსეულ გამარჯვებას მივაღწიოთ, რაც თავისთავად საქართველოს გამარჯვებას ნიშნავს.**

„ქართული ოცნების“ კაპიტანი ცნობილია, მაგრამ უცნობია გუნდი, რომლის კაპიტნობაც კახა კალაძეს ჩაბარდა. მმართველი გუნდი არ ჩქარობს საარჩევნო სიის წარდგენას. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სიის პირველი ნომერი გიორგი კვირიკაშვილი იქნება, რომლის განცხადებით, ქვეყანამ წინასაარჩევნო პერიოდი ღირსეულად უნდა გაიაროს და განამტკიცოს დემოკრატიის ის მაღალი სტანდარტი, რომელიც ადგილობრივი და საპრეზიდენტო არჩევნების დროს იყო ნაჩვენები.

მმართველი გუნდის კაპიტანი აცხადებს, რომ პარტია აქტიურ მზადებას იწყებს არჩევნებისთვის, რომელშიც „ქართული ოცნება“ მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებლად. კახა კალაძე პირობას დებს, რომ არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულ, სამართლიან მშვიდობიან გარემოში და ამ არჩევნებით საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახვებენ, რომ დემოკრატიული პროცესები საქართველოში შეუქცევადია.

„მთავრობა აპირებს ყველაფერზე პასუხისმგებლობის აღებას. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არჩევნები მშვიდ, თავისუფალ გარემოში ჩატარდეს, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას ექნება საშუალება, თავისი ხედვა ქვეყნის განვითარების შესახებ, მიაწოდოს მოსახლეობას და საქართველოს მოსახლეობა არჩევნების გზით გადაწყვიტავს, თუ ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ამბობს, რომ შტაბის უფროსი სიის პირველი ნომერი არ არის, შესაბამისად, შტაბის უფროსის კრისტალური რეპუტაცია არ არის ძალიან მნიშვნელოვანი. გამომდინარე იქიდან, რომ კალაძის მიმართ არის პრეტენზიები, რომ მისი ჩუმი თანხმობით იქნა გამოყენებული წინა ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიური მეთოდები, ეს ზიანს აყენებს საარჩევნო პროცესს.

— რისკები ამ მხრივ იზრდება და არ მცირდება. ვფიქრობ, რომ კალაძისთვის ეს არ იქნება ადვილი გადასაწყვეტი, იმიტომ, რომ მისი გარემოცვა უფრო კონფრონტაციაზეა ორიენტირებული. თუ „ქართულ ოცნებას“ დავყოფთ სხვადასხვა ფრთებად, კახი კალაძის ფრთა არ გამოირჩევა ლოიალობით პოლიტიკური პროცესის მიმართ და პრინციპში, ყველაზე მეტად იქნება მზად იმისათვის, რომ საარჩევნო პროცესში არასტანდარტული ტექნოლოგიები გამოიყენოს.

აქედან გამომდინარე, შტაბის უფროსობა ეს არის მაღალი რისკის ზონა და ამიტომ, თუ ვინმე ჩაუღრმავდა ამ საკითხს, შესაძლებელია ეს არჩევანი სწორედ იმისთვის გააკეთა, რომ კახი კალაძეს შეუქმნას რისკები, რომლის გადალახვა გაუჭირდება და ამ სახით მოხდეს მისი პროცესიდან ჩამოშორება, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

გია ცაგარეიშვილი უხელმძღვანელებს „თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო შტაბს. როგორც პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, გია ცაგარეიშვილს აქვს დიდი გამოცდილება საარჩევნო პროცესებში.

„იგი არის ჩვენი დეპუტატი პარლამენტში. მას აქვს დიდი გამოცდილება საარჩევნო პროცესებში, როდესაც საქართველოში არაერთი არჩევნები დიდი ზეწოლის ქვეშ ტარდებოდა. ჩვენ დაგვიგროვდა მის მიმართ ნდობა და პროფესიული გამოცდილება მას აძლევს სრულ კვალიფიკაციას, რომ იყოს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. მასთან ერთად ყველაზე დიდი წვლილი ჩვენი გამარჯვებისა უნდა გადავიდეს მაჟორიტარ დეპუტატებზე და ჩემზე, როგორც ლიდერზე. იმედი მაქვს, რომ გავიმარჯვებთ ამ არჩევნებზე“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

იხ. 7 გვ.

საჭიროა დამკვირვებელთა მაქსიმალური რაოდენობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი გამოაგზავნონ საქართველოში საარჩევნო პროცესზე დასაკვირვებლად, — ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციასთან შეხვედრისას განაცხადა, რომელიც წინასაარჩევნო გარემოს ეცნობა.

საუბარი არჩევნებისთვის მზადების პროცესს და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას შეეხო.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოში, წინასაარჩევნო პერიოდის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები დემოკრატიის კუთხით.

გიორგი კვირიკაშვილმა NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციის წევრებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის, უზრუნველყოს საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულ, თავისუფალ და გამჭვირვალე გარემოში ჩატარება.

პრემიერმა დელეგაციის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში მედიაპლურალიზმის, საკუთრების უფლებებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით განხორციელებული რეფორმების შესახებ.

NDI-ის დელეგაცია საქართველოში არჩევნებისთვის მზადების პროცესს, ზოგად პოლიტიკურ გარემოს და იმ ფაქტორებს, რომელსაც საარჩევნო პროცესის წარმართვაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, 4 დღის განმავლობაში შეაფასებს, ხოლო ვიზიტის დასასრულს, წინასაარჩევნო გარემოს შეფასების დოკუმენტს გამოაქვეყნებს.

საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არაკონსტიტუციური და მიკერძოებულია!

იუსტიციის სამინისტროს საგანგებო განცხადება

„საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 28 მაისსა და 10 ივნისს ოფიციალური განცხადებები გავრცელა და საქართველოს იუსტიციის მინისტრი ცილისწამებაში, საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და სხვა ამგვარში დაადანაშაულა.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თითქოს საქმეები კოლეგიებს შორის რიგითობის პრინციპის სრული დაცვით ნაწილდება, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი.

მე, როგორც იუსტიციის მინისტრი და ამ ქვეყნის მოქალაქე, ვთვლი, რომ პრაქტიკაში კანონით დადგენილი ეს წესი მრავალჯერ დაირღვა. ამაში დასარწმუნებლად თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზიც კმარა.

მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის (იურიდიული პირის სპეციფიკიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, სასამართლოში წარდგენილი სარჩელის სუბიექტი არის შპს „ტელეკომპანია საქართველო“) ყველა კონსტიტუციური სარჩელი (№№ 675, 678, 679, 681, 720, 721, 726) განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს ერთსა და იმავე – პირველ კოლეგიას დაეწერა.

მე დავსვი ლეგიტიმური კითხვა – თუ რატომ მოხდა ასე, რისი უფლებაც ნამდვილად მაქვს. დღემდე პასუხი არ არის. ერთადერთი გამონაკლისი, რომელზეც განცხადებაში მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლო, იყო მხოლოდ №719 კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც მხოლოდ იმის გამო, რომ გასაჩივრებული იყო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა (ყველა ასეთი შემთხვევა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმედ და, შესაბამისად, პლენუმის განსჯადად), განიხილა სასამართლოს პლენუმმა.

ზემოაღნიშნულ ყველა დანარჩენ სარჩელში სადავოდ იყო გამხდარი სხვადასხვა კანონის სხვადასხვა, ერთმანეთთან კავშირში არმყოფი ნორმები. ამ სარჩელებს მხოლოდ ერთი ჰქონდათ საერთო – მათი ავტორი „რუსთავი-2“. ეს კი საქმეების ერთისა და იმავე კოლეგიისთვის მიკუთვნების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო, არამედ პირიქით! **როდესაც ერთი სუბიექტის სარჩელს ყოველთვის ერთი და იგივე კოლეგია განიხილავს და თან ისე, რომ რიგითობის მიხედვით მას მოცემული სარჩელის განხილვა არ ეკუთვნის, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა როგორც საქმეთა განაწილების, ისე მათი გადაწყვეტის ობიექტურობასთან დაკავშირებით. კითხვის დასმა კი თურმე თავდასხმის მცდელობა ყოფილა დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის უკანასკნელ ბასტიონადაც საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი თავი მიაჩნია ჩვენს ქვეყანაში.**

ასევე, ჩნდება კითხვები პროცედურასა და ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისა და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ ყველა სარჩელთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ შესაშურად მოკლე ვადაში დაასრულა საქმის განხილვა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგიც დააყენა. ასე, მაგალითად, №675 სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო (სადავო ნორმა შეაჩერა) სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვიდან 6 დღეში, ხოლო №681 სარჩელზე იგივე სამართლებრივი შედეგები დააყენა 7 დღეში.

ამგვარი სწრაფი მართლმსაჯულება მისასალმებელია, მაგრამ არა მაშინ, როცა ამას პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად.

ზოგადად რომ შევიქმნათ წარმოდგენა, თუ რა ვადებში განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხებს, საკმარისია, გავეცნოთ მის სტატისტიკას. ვნახავთ, რომ იგი განმწესრიგებელი სხდომის გამართვას, როგორც წესი, ანდომებს თვეებს, ხოლო რიგ შემთხვევაში ? წლებსაც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოში №604 სარჩელი შესულია 2014 წლის ივლისში, №628 სარჩელი კი – 2015 წლის თებერვალში და მათი განხილვაში მიღების საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, ან სასამართლოს სტატისტიკაა მცდარი და სწორედ მას შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება. მაგრამ რა ვუყოთ, რომ ასეთი კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი?

არსებობს საქმეები, რომლებშიც მოქალაქეები თუ საერთო სასამართლოები სადავოდ ხდიან ისეთი ნორმების კონსტიტუციურობას, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის თავისუფლების ხანმოკლე თუ ხანგრძლივ შეზღუდვას. საინტერესოა, რა ახსნა ექნება საკონსტიტუციო სასამართლოს იმასთან დაკავშირებით, რომ მან №740 (უგულავა) კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვა ჩანიშნა სასამართლოში სარჩელის შესვლიდან 2 თვის ვადაში; №764 (ე.წ. კაბელების საქმე) კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად მიიღო სარჩელის შესვლიდან 1 დღის ვადაში, ე.ი. 1 დღეში საქმე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გადაეცა კოლეგიას, კოლეგიის თავმჯდომარის მიერ დაეწერა მომხსენებელ მოსამართლეს, მომხსენებელმა მოამზადა პროექტი და მოსამართლეებმა მიიღეს ის. ამ საქმეებთან დაკავშირებული, პატიმრობაში მყოფი პირებისათვის ეს მისასალმებელია, მაგრამ რა დააშავეს სხვებმა, რომელთა ბედის შესახებაც 7 ან მეტი თვის წინ არის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელები ან წარდგინებები? სად არის აქ რიგითობა და მიუკერძოებლობა?

ყურადღებით მოვისმენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნიშნით გამოარჩია მოცემული ორი საქმე და დაიწყო მათი სწრაფი განხილვა მაშინ, როცა სასამართლოს არ გადაუწყვეტია გაცილებით ადრე შესული 15-მდე კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი.

იგივე კითხვები შეიძლება დაისვას საქმის არსებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქმეებს, რომლებიც შეიძლება იყოს პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს და წყვეტს მოკლე ვადებში. ამიტომაც ვსვამ ლეგიტიმურ კითხვას, თუ რატომ ხდება ასე.

მაგალითად, №569 კონსტიტუციური სარჩელი (დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა და გადაწყვიტა 4 თვის ვადაში, №574 კონსტიტუციური სარჩელი (გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) – 3.5 თვის ვადაში, ხოლო №646 კონსტიტუციური სარჩელი (გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) – 4.5 თვის ვადაში.

სხვა საქმეების გადაწყვეტას კი 1 და მეტი წელი სჭირდება. №550 კონსტიტუციური სარჩელი სასამართლოში 2013 წლის იანვარში შევიდა, №561 და №568 სარჩელები – 2013 წლის ივლის-დეკემბერში, №570 სარჩელი – 2013 წლის დეკემბერში, №580 სარჩელი – 2014 წლის მარტში, №595 სარჩელი – 2014 წლის მაისში და ა.შ. აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დღემდე არ მიუღია, კითხვის დასმა კი თავდასხმად აღიქმება.

ყურადღებას, ასევე, იქცევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები საქმეთა განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელებით მიმართეს 2015 წლის 19 ოქტომბერს შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალმა“ (№673), 2015 წლის 26 ოქტომბერს – შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-მა და შპს „ტელეკომპანია საქართველომ“ (№675) და 2015 წლის 28 ოქტომბერს – სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკმა“ (№677). ყველა აღნიშნულ სარჩელში სადავოდ იყო გამხდარი კანონის ერთი და იგივე ნორმა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) და ყველა მოსარჩელე ითხოვდა მისი მოქმედების შეჩერებას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ (ისევ პირველმა და კვლავ პირველმა!) საქმეების განსახილველად გადაცემიდან სულ რამდენიმე დღეში, იმავე წლის 2 ნოემბერს, ჩანიშნა განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენით მხოლოდ №673 და №677 სარჩელებზე და არა – №675 სარჩელზე (რომელიც წარმოადგენდა „რუსთავი-2“-ის სარჩელს და მისი წინ წამოწევა მეტად თვალში საცემი იქნებოდა, ალბათ). ამ გარემოებამ მაშინვე გააჩინა კითხვები, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო, საკუთარი დამკვიდრებული პრაქტიკითვე, ერთნაირი შინაარსისა და მოთხოვნის მქონე საქმეებს ერთად იხილავს. მას შემდეგ, რაც 2 ნოემბერს გაირკვა, რომ №673 და №677 სარჩელის ავტორები უარს აცხადებდნენ დავის გაგრძელებაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ, თითქოსდა პანიკურ ფონზე, იმავე დღეს, ისე, რომ არც უცდია უარის დეტალებში დამატებით გარკვევა და ისე, რომ არ მოისმინა მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის მოსაზრება სარჩელთან დაკავშირებით, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა „რუსთავი-2“-ის №675 სარჩელი, მიიღო ის არსებითად განსახილველად და შეაჩერა სადავო აქტის მოქმედება. ეს იყო და არის დღემდე ერთადერთი პრეცედენტი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა შეაჩერა ისე, რომ ამასთან დაკავშირებით არ გამართა ზეპირი მოსმენა და არ მისცა მხარეებს შესაძლებლობა, წარმოედგინათ საკუთარი არგუმენტაცია.

ეს ყველაფერი აჩენს კითხვებს.

ყურადღებით მოვისმენ პასუხებს და არა შეშფოთებას იმის შესახებ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრს კითხვა გაუჩნდა“.

თეა წულუკიანი

საკონსტიტუციო სასამართლო თეა წულუკიანს პასუხობს

საკონსტიტუციო სასამართლო იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს პასუხობს.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, თეა წულუკიანის მიერ გაკეთებული კომენტარები აღიქმება, როგორც სასამართლოზე და კონკრეტულ მოსამართლეებზე. „იუსტიციის მინისტრის მხრიდან გაკეთებული განცხადებები მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციისა და მოსამართლეების პოლიტიკურ დებატებში ჩართვის მცდელობას. აღნიშნული განცხადებები არა მხოლოდ უპასუხისმგებლო და უსაფუძვლოა, არამედ შეუფერებელია მისი თანამდებობისთვის.

იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირს და მისი განცხადებები აღიქმება სასამართლოზე და კონკრეტულ მოსამართლეებზე ზეწოლის მცდელობად. გამოვთქვამთ იმედს, რომ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და მისი ხელმძღვანელის პოზიციას. შევახსენებთ მინისტრს, რომ სარჩელების განხილვის ვადებთან, ისევე როგორც საქმეთა განაწილების საკითხთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას“.

თედო კობახიძის შესაძლო კორუფციულ ფაქტებთან დაკავშირებით საკრებულოს სათანადო რეაგირება ექნება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოკვლევა დაადასტურებს დეპუტატ თედო კობახიძის მხრიდან თანხის გამოძალვის ფაქტებს, საკრებულოს რეაგირება სათანადო იქნება. როგორც ალიბეგაშვილმა აღნიშნა, ის პირადად დაუკავშირდა თედო კობახიძეს, რომელმაც, მისი თქმით, ბადრი ჯავახიშვილის მხრიდან მისი მისამართით გაკეთებულ ბრალდებებს ცილისწამება უწოდა.

„ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს კვლევა. ბუნებრივია, ჩვენ უნდა დაველოდოთ გარკვეულ დასკვნებს და აქედან გამომდინარე, ჩვენს შეხედულებას უფრო ჩამოვაყალიბებთ. მქონდა მასთან დაკავშირებით საუბარი, რომ ეს არის მისი და მისი დის წინააღმდეგ მიმართული შანტაჟი.

ბუნებრივია, ჩვენ დაველოდებით გარკვეულ დასკვნებს და თავისთავად, რეაგირება იქნება“, – განუცხადა „რუსთავი-2“-ს გიორგი ალიბეგაშვილმა. თედო კობახიძე საკრებულოში იურიდიული კომისიის ხელმძღვანელია და ასევე პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის ძმა. ის საკრებულოს ყოფილმა თანამშრომელმა ფულის გამოძალვაში დაადანაშაულა.

* * *

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მისი ძმის, თბილისის საკრებულოს წევრის, თედო კობახიძის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეხმაურება. მისი თქმით, აღნიშნული ბრალდებები „ძალიან ჰგავს იმ კომპანიას რაც თავის დროზე ალეკო ელისაშვილმა დაიწყო“. მისივე თქმით, რეალურად საქმე გვაქვს გამოძალვასთან ბადრი ჯავახიშვილის მხრიდან.

„ამ საკითხზე ორი კვირის წინ მივმართეთ საგამოძიებო უწყებას. შესაბამისად, მას პასუხს გასცემს გამოძიება. ეს არის მიზანმიმართული კამპანია, რომელიც ორკესტრირებულია გარკვეული ძლების მიერ. თედო კობახიძე ყველა კითხვას დღეს უპასუხებს. ბადრი ჯავახიშვილს ჰქონდა მცელობა ფულის გამოძალვის ვიცე-სპიკერისგან. ეს ადამიანი ყველა ზღვარს გადავიდა. ამას მე ვერ დავფარავდი. პოლიცია საქმის კურსში მყავს ჩაყენებული. ყველა მტკიცებულება წარდგენულია საგამოძიებო უწყებისთვის“, – აღნიშნ ვიცეს-სპიკერმა.

ციდან ჩამოვარდნილი ძვალი

წარმოიდგინეთ.: ჩამყაყებულ, ბუშტებმოდებულ ჭაობში მოულოდნელად კუნძი ჩავარდება.

იფეთქებს მწვანე ჭავლი და სანამ იგი ერთმანეთის მდევ წრიულ ტალღებად იქცევა, ყოველგვარი ყიყინი და ბზუილი წყდება. შემდეგ კი ყველაფერი ხელახლა იწყება, ორმაგი ძალით...

ეს ჭაობის პრინციპია.

ასეთი კუნძი ჩავარდა 10 ივლისის დილას „რუსთავი-2“-ის ჭაობში და ყველა ბაყაყსა თუ კოღოს ენა ჩაუგდო.

ოღონდ ორიოდ წამით.

შემდეგ კი უფრო მძლავრად აყიყინდა და აბზუვლდა პირველი შოკისგან გამორკვეული ჭაობი.

„რუსთავი-2“-მა „იხუა“ სააპელაციო სასამართლოს განჩინება პირველი ინსტანციის — საქალაქო სასამართლოს 2015 წლის თებერვლის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ანუ ქიბარ ხალვაშისთვის ამ ტელეარხის 100-პროცენტიანი წილის მიკუთვნების შესახებ.

ამრიგად, 10 ივნისის დილას კიდევ ერთხელ გაცხადდა ჭეშმარიტება, რომ „რუსთავი-2“-ს ჰყავს პატრონი, რომელსაც წართმეული ტელეარხი უნდა დაუბრუნდეს, ანუ ქონება უნდა დაუბრუნდეს მქონებელს, რაგინდ არ მოგვწონდეს ამ სოციალისტურად ნასაზრდოებ ხალხს საკითხის ასე შუმი „კაპიტალისტური“ გადაწყვეტა.

ნიკა გვარამიამ, რომელიც აშკარად აღარ არის თავის „მატორზე“, ლომივით, ტურასავით, უნასივით იბრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა, რადგან არ შეიძლება არ დამარცხებულიყო: სიმართლე მხოლოდ ერთია და თუ სიმართლისთვის ასე უღირსად, სიცრუით, ღლიცინით, ჩოხის ჩამოხევით იბრძვი, ვერ გაიმარჯვებ!

თუნდაც მოსამართლის აცილების კიდევ ერთი ოინი ავიღოთ.

ბოლო მომენტში, ანუ განჩინების გამოცხადების წინა დღეს, მოსამართლე შორენა ყაველაშვილისთვის აცილების შუამდგომლობა შეუტანიათ „რუსთავი-2“-ის ადვოკატებს. თურმე სასამართლო სამეულის ამ წევრს არ ჰქონია სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება, რამეთუ... თავის თავზე სამოქალაქო სამართალში კი არ ჩაუბარებია გამოცდა, არამედ — სისხლის სამართალში. მაგრამ სასამართლომ ამ საშინელ დანაშაულზე ყურადღება არ გაამახვილა და ქ-ნი შორენა პროცესიდან არ მოხსნა, რაც თურმე ჯერ არგაგონილი რამ დარღვევა ყოფილა ცისქვეშეთის იურისპრუდენციაში.

აი, საქალაქო სასამართლოს ეზო კი, რაც მართალია, მართალია, უმალ იქცა საინტერვიუ ველად, თუმცაღა წვიმა ბეჯითად ასველებდა თავდადებულ ჟურნალისტებსა და ასევე არანაკლებ თავდადებულ ინტერვიუერებს.

გულის მომკვლელი იყო საცქერლად, ყურის მომჭრელი — სასმენად.

ყველამ, ვინც კი ხელთ მიკროფონი აიღო, საგანგებოდ ხაზი გაუსვა, რომ „რუსთავი-2“-ის თავდადებით მოპოვებული ზესაიდუმლო ინფორმაცია მოსამართლე შორენა ყაველაშვილის განათლებაში სისხლის სამართლის უპირატესობის არსებობაზე, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ქვეყნის არა მხოლოდ იურიდიული პრაქტიკის, არამედ სოფლის მეურნეობისთვისაც კი.

ვუსმენდი ტელეეკრანებით აგრერიგად ცნობილი პოლიტიკოსებისა და იურისტების კომენტარებს და გულს მიხარებდა, რომ უკლებლივ ყველამ ასე წვრილად იცის სამართლის ანი და ჰოე, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი ასე ერთსულოვნად გამოდის განჩინების წინააღმდეგ.

ყველა მოწოდების სიმაღლეზე იყო, მაგრამ ერთი მაინც გამორჩეულად მძვინვარებდა. „რუსთავი-2“-ის ადვოკატი დიმიტრი საძაგლიშვილი, როგორც იტყვიან, თავისი საყელოდან ამოხტა.

მან, რატომღაც, თავს უფლება მისცა ეანგლა მოსამართლე შორენა ყაველაშვილის ნათქვამზე, „თუ გავმტყუნდი, მოსამართლის მანტიას გავიხდიო“. იმ საძაგელმა დიმიტრიმ მოსამართლე ქალბატონის ეს სიტყვაზე ნათქვამი კარგა ხანს ღეჭა და „მანტიის გახდას“ უხამსი მიმართულება მისცა, თანაც კმაყოფილება ვერ დამალა უღირსი „კალამბურით“.

საძაგლიშვილის გვარმა ერთი დიდი პიროვნება უკვე მისცა ერს — საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ — კირიონ II და ახლა ადვოკატ დიმიტრის ჭიფხვა ცნობადობაზე „რუსთავი-2“-ის ეკრანით, ვფიქრობ, დიდებას ვერ მოუტანს.

„რუსთავი-2“-ის ყოველი გადაცემა სასამართლო პროცესის განშტოებად „გადაკვალიფიცირდა“ და ეს რიგითი ქონებრივი დავა უმწვავეს პოლიტიკურ პროცესად იქცა, რომელშიც უყოყმანოდ გადაეშვნენ ჩინიანნი და უჩინონი, ოპოზიციური პარტიები (ყოველ შემთხვევაში ერთკაციანი, ორკაციანი თუ ხუთკაციანი საძმაკაცოები, რომლებიც მტრის თვალის დასაყენებლად თავიანთ თავს პარტიებს უწოდებენ) და არასამთავრობოები (გაურკვეველი წარმოშობისა და მიმართულების საუცხოეთო წარმონაქმნები, რომლებიც დოლარებზე სულს ყიდიან).

„რუსთავი-2“-ის თემა, ანუ „თავისუფალი სიტყვის დაცვა“ **(?! — ს.ა.)** სასინჯქვად იქცა მრავალი დამწყები (ახლა რომ ასპარეზს ეძებენ) თუ კარგა ხანია დაწყებული, მაგრამ ვერშემდგარი ან სხვადასხვა გარემოების გამო კრამიტდაცურებული პოლიტიკოსებისთვის.

ირაკლი ალასანიაც ამით იწყებს, მაგრამ მერე თავისას უბერავს კაბელების განხრით; შალიკო ნათელაშვილი უნიფხოების ლოზუნგებს ისვრის ყოველ ადგილიან თუ უადგილო ადგილას; ამ პოლიტიკურ აჯაფსანდალში ეს-ესაა ფეხშედგმული პაატა ბურჭულაძე, რომელიც აშკარად ვერ გარკვეულა რაში გაყო თავი, რაღაც ჭკუამიღმურ განცხადებებს აკეთებს ქიბარ ხალვაშისა თუ სხვათა გასაგონად, რომელთა არსზეც წარმოდგენა არა აქვს; რაც დრო გადის, რატომღაც სულ უფრო რადიკალურად მტრული ხდება შალვა შავგულიძე...

პოლიტიკური პარტიები, რომელთა არსებობაც მეჩხრად შემორჩენილ მათ წევრებს თუღა ახსოვთ (ბაჩუკი ქარდავა, მანანა ნაჭყებია, ირაკლი ღლონტი...) და არასამთავრობოები (ელენე ხოშტარია, ეკა გიგაური, ანა ნაცვლიშვილი...) ქულების დაწერას ეშურებიან, თორემ „რუსთავი-2“-იცა და ნიკა გვარამიაც, როგორც ცხონებული გია ჭელიძე იტყოდა, სულ ქინძზე ჰკიდიათ!

მოკლედ, ეს სასამართლო პროცესი, რომელიც ალბათ ცოტა ხანში უზენაეს სასამართლოში გაგრძელდება, სწორედ ციდან ჩამოუვარდა ამდენ „შესაფერის მომენტს ჩასაფრებულს“, როგორც ძვალი კბილებდაღრჭენილ ამუნიებს.

ჰოდა, ახლა ამოცანა ის არის, თუ ვინ უფრო გაკრიალებამდე გამოხრავს ამ ძვალს, სხვაზე მარჯვედ ვინ დაამტკიცებს, რომ სწორედ ამ განჩინების შედეგია ვიზალიბერალიზაციაზე დროებითი უარი, ნატოს კარის მიხურვა და ა. შ.

ირაკლი ალასანიაც ამით იწყებს, მაგრამ მერე თავისას უბერავს უნიფხვოების კაბელების განხრით; შალიკო ნათელაშვილი ლოზუნგებს ისვრის ყოველ ადგილიან თუ უადგილო ადგილას; ამ პოლიტიკურ აჯაფსანდალში ეს-ესაა ფეხშედგმული პაატა ბურჭულაძე, რომელიც აშკარად ვერ გარკვეულა რაში გაყო თავი, რაღაც ჭკუამიღმურ განცხადებებს აკეთებს ქიბარ ხალვაშისა თუ სხვათა გასაგონად, რომელთა არსზეც წარმოდგენა არა აქვს; რაც დრო გადის, რატომღაც სულ უფრო რადიკალურად მტრული ხდება შალვა შავგულიძე...

სანდრო ალექსიძე

◎ კვლევა

როგორ და რაში იხარჯება მილიონები?

სასამართლოებში სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება ვერ ხერხდება. ამიტომ, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე კახა სოფრომაძე აცხადებს „ორ წელიწადზე მეტია ამის შესახებ იუსტიციის საბჭო მსჯელობს, თუმცა, კონკრეტული ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა. რატომ? — იმიტომ, რომ ამ ყველაფერს სჭირდება ფინანსები“. იმისათვის, რომ დაიწყოს საქმეების უფრო სწრაფ რეჟიმში განხილვა და გადაწყვეტილებების დროული გამოტანა, სულ მცირე, 100-დან 200-მდე ახალი მოსამართლის დამატებაა საჭირო, თანაშემწეებით და ტექნიკური პერსონალით... ბუნებრივია, ამას სჭირდება შენობა-ნაგებობების დამატება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ანუ გამოდის, რომ ეფექტიანი მართლმსაჯულება პირდაპირ კავშირშია ფინანსურ რესურსებთან...

საქართველოში 24 რაიონული და ორი სააპელაციო სასამართლო მოქმედებს. სასამართლო სისტემის განვითარების პროცესზე სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი და იუსტიციის უმაღლესი სკოლა. სასამართლოების ტექნიკურ უზრუნველყოფასა და ბიუჯეტის დაგეგმვაზეც ეს უწყებებია პასუხისმგებელი. ისინი საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს გამოკლებით, წელიწადში მილიონობით ლარს ხარჯავენ. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მათი ბიუჯეტის დადგენა და ხარჯთაღრიცხვა არ ხდება წლის დასაწყისში. იდება რამდენიმე პროგრამა და ქვეპროგრამა, ხოლო გათვალისწინებული თავდაპირველი ხარჯები წლის განმავლობაში 10-ჯერ და 15-ჯერ არის ხოლმე გაზრდილი. ამ ორგანოებს არ ჰყავთ შიდა აუდიტი და არც სახელმწიფო შიდა ფინანსური შემმოწმებლები, შესაბამისად, არც პასუხისმგებელი არის ვინმე...

როგორც არასამთავრობოთა წარმომადგენლები ამბობენ, კანონი ამით არ ირღვევა, რადგან კოდექსებში არის მუხლები, რომელიც ლავირების საშუალებას იძლევა, მაგრამ აქ საუბარია უკეთეს მენეჯმენტზე. თუ ჩვენ არ გვექნება გეგმა, რას ვაკეთებთ წლის განმავლობაში, გაგვიჭირდება განსაზღვრა, თუ რას აკეთებს უწყება ზოგადად, — აღნიშნავენ სპეციალისტები.

ბიუჯეტის აბსოლუტური სიზუსტით დაგეგმვა რთულია, რჩება ხოლმე დაუხარჯავი თანხები, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ხშირად ხდება გაუთვალისწინებელი რამ, კოდექსი უშვებს შესაძლებლობას 10-15 პროცენტი გადანაწილდეს პროგრამებს შორის.

„საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს“ კვლევაში სასამართლო სისტემაში ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვის არაერთი საინტერესო ფაქტი მოხვდა. როგორც აღვნიშნეთ, წლის დასაწყისში ვერ ხდება შესყიდვებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაბამისად დაგეგმვა.

იხ. 8 გვ.

კიდევ ერთი ახალი საწარმო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შპს „ვუდმასტერს“ თბილისში, ღოღობერიძის ქ. №67-ში 12 895 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადასცა.

შპს „ვუდმასტერი“ უზრუნველყოფს ავეჯის, მერქნისა და მისი ნაწარმის, ასევე ყველა სახის საათებისა და მათი ნაწილების მწარმოებელი საწარმოს შექმნას. წარმოების დაწყებიდან არანაკლებ ორი წლის განმავლობაში საწარმო განახორციელებს პროდუქციის წლიური მოცულობის არანაკლებ 3000 ერთეული ავეჯის, არანაკლებ 1500 ერთეული მერქნის ნაწარმის და არანაკლებ 50 ერთეული საათის და მათი ნაწილების წარმოებას.

საწარმოს შექმნისთვის შპს „ვუდმასტერი“ 1 793 760 ლარის ინვესტიციას განახორციელებს და ჯამში 50 სამუშაო ადგილს შექმნის.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში უკვე 176 საწარმო დაფინანსდა, რის შედეგადაც 7500-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

ფერეიდნელმა ნუგზარ ლაჩინანიმ კვლავ დიდი ქართული საქმე ქმნა

2008 წლის 29 მაისს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი წერილი: „სისხლის ყივილი – ფერეიდნელმა ნუგზარ ლაჩინანიმ დიდი ქართული საქმე ქმნა“. საქმე ეხებოდა ფერეიდნელი აგრონომის ნოურუზ (ნუგზარ) ლაჩინანის მიერ „ქართულ-სპარსული ლექსიკონის“ გამოცემის სასიხარულო ამბავს. ახლა ბატონმა ნუგზარმა უფრო მეტად გაგვახარა: ცოტა ხნის წინათ ქალაქ ისპაჰანში გამოქვეყნდა მისი წიგნი იმავე სათაურით; ამჯერად ლექსიკონი შეიცავს 39000 სიტყვას, ანუ ორ და მეტჯერ მეტს, ვიდრე წინა გამოცემაში იყო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში საქმე გვაქვს მნიშვნელოვან წარმატებებთან ჩვენ ლექსიკოგრაფიაში: 2012 წელს ალექსანდრე ელერდაშვილმა თბილისში გამოაქვეყნა „სპარსულ-ქართული ლექსიკონი“ (44600 სიტყვა), ხოლო ბატონმა ნუგზარ ლაჩინანიმ წელს ისპაჰანში გამოსცა „ქართულ-სპარსული ლექსიკონი“ (39000 სიტყვა).

პირველი ცდა ქართულ-სპარსული ლექსიკონის შედგენის ეკუთვნის სეფიანთა კარის დივანბეგს, მემატიანეს და ლიტერატორს ფარსადან გორგიჯანიძეს (1626-1691), რომელმაც გამოიყენა რა მე-14 საუკუნის ავტორის აბუ ნასრ ფარრაჰის ლექსად გაწყობილი „არაბულ-სპარსული ლექსიკონი“, შეადგინა „ქართულ-არაბული-სპარსული ლექსიკონი“, რომელშიც თარგმნილია 800-მდე ქართული სიტყვა. ფარსადან გორგიჯანიძის ლექსიკონი კომენტარებითა და ვრცელი გამოკვლევებითურთ გიორგი წერეთლის რედაქტორობით 1941 წელს გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ.

2016 წელს გამოცემული ლექსიკონის წინასიტყვაობაში ბატონი ნუგზარი აღნიშნავს:

„ქართული ენის მიმართ კულტურის მოყვარულთა დაინტერესებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ გაორმაგებული ძალისხმევით დამეწყო მუშაობა ლექსიკონის სრულყოფაზე. წინამდებარე წიგნი შეიცავს დაახლოებით 39 ათას სიტყვას, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე წინა ლექსიკონი.

აქვე აუცილებელია მადლობა მოვახსენო ძვირფას მეცნიერს ბ-ნ ჯემშიდ გიუნაშვილს, რომელმაც სიტყვათა მოძიებიდან წიგნის გამოცემამდე არ დაიშურა თავისი საუკეთესო რჩევები და მოსაზრებები და უდიდესი სტიმული მოგვცა მე და ჩემი ოჯახის წევრებს.

ენისა და კულტურის ღირებულების ცოდნამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ ძალიან დიდი დახმარება აღმომიჩინა ამ საქმეში და საკუთარ თავზე აიღო ტექსტის აკრეფის პასუხისმგებლობა, რომელიც სიტყვების მოძიებასა და თარგმანზე არანაკლებ შრომატევადი საქმეა...“

ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი წყაროების გამოყენების საქმეში მშობლებს ეხმარებოდნენ შვილები: არმანი, ლიანა და არიანი. ვითარება, რომელიც ამჟამად სუფევს ფერეიდნელი ნუგზარ ლაჩინანის ოჯახში, 80-90 წლის წინ წარმოუდგენელი იქნებოდა. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ირანში საბჭოთა ბანკის თანამშრომელი ამბაკო ჭელიძე, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფერეიდნელებთან, აღნიშნავდა, რომ ფერეიდნელების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენდა სოფლის ბინადარ გლეხებს, რომლებიც, როგორც ირანის სხვა რეგიონის გლეხები, იყვნენ ბატონყმურ დამოკიდებულებაში ხანებთან... ფერეიდნელები ქართველების ბედს უმთავრესად ხანები განაგებდნენ.



მე-17 საუკუნის დასაწყისში შაჰ აბასის მიერ აღმოსავლეთ საქართველოდან ბევრი ქართველი აყრილი და გადასახლებული იქნა ირანში. ისინი დაასახლეს კასპიის ზღვის სანაპიროზე – გილანში, მაზანდარანში, ხორასანში, ირანის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. ფერეიდნელების წინაპრები დაასახლეს ქალაქ ისპაჰანის აღმოსავლეთით მდებარე ფერეიდანის მხარეში. ფერეიდნელის სოფლები განლაგებულია მაღალმთიან რაიონში საშუალოდ 2500 მეტრი ზღვის დონიდან. რამდენიმე კილომეტრში არის მაღალი მთაგრეხილი, რომლის მწვერვალი ზღვის დონიდან 4500 მეტრს ითვლის. ფერეიდანში ზამთარი ძალიან ცივი და ხანგრძლივია.

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელების სოფლებში სხვადასხვა პროცენტით ცხოვრობდნენ სხვა ტომების წარმომადგენლები (სომხები, თურქები, ლურები და სხვები), ბუნებრივი პირობებისა და უგზოობის გამო, 300-350 წლის განმავლობაში, ფერეიდნელები, განსაკუთრებით ქალები, იზოლირებულები იყვნენ გარე სამყაროსაგან. შესაბამისად, ქართული ენის საკომუნიკაციო როლი ძალიან დიდი იყო. ლადო აღნიაშვილი, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს მოიარა ფერეიდნელების ყველა სოფელი, აღტაცებით წერდა: „სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე მინდორ-ტყეში, მთებსა და სოფლებში წმინდა ჩვენებური, გლეხური კილოთი ლაპარაკს გავიგონებდი.... ყველა აღიარებს თავის თავს წმინდა ქართველად“. ლადო აღნიაშვილის აზრით, ფერეიდანში ბინადრობდა 15000-მდე ქართველი.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1966 წელს ქართულენოვანთა რიცხვი ფერეიდანში უდრიდა 17644 სულს. მამაკაცების 18.1% წერა-კითხვა (სპარს.) იცოდა, ხოლო ქალების – 5.4% (მოჰამად სეფიანი).

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ (ოთარ გიგინეიშვილი), უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ (არჩილ გიგოშვილი), თბილისის და ქუთაისის უნივერსიტეტების შესაბამისმა ფაკულტეტებმა, მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმა დაიწყეს გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მუშაობა ფერეიდნელებისათვის ქართული წერითი კულტურის ამაღლების, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. 1995 წლიდან ამ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ საქართველოს საელჩო ირანში და საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოება.

აღნიშნული თემატიკის გათვალისწინებით მომზადდა პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ნეიტრალური პუბლიკაციები, განსაკუთრებით ქართულ-სპარსული ტექსტები, რომლებიც თანდათანობით მიეწოდებოდათ ფერეიდნელებს.

ამჟამად 80-მილიონიან მრავალეროვან, მრავალკონფესიურ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არის 14 მილიონი სკოლის მოსწავლე, 4 მილიონი სტუდენტი, 90 000 მაგისტრანტი 60 000 დოქტორანტი. მაგრამ ირანში არ არის არც ერთი ქართული სკოლა. რით აიხსნება ასეთი ვითარება? საქმე ის გახლავთ, რომ ირანში დღეიურე არ არსებობს ეროვნული უმცირესობა, არსებობს რელიგიური უმცირესობები (ზოროასტრიელები, იუდეველები, ქრისტიანები), რომლებსაც თავიანთ ენაზე აქვთ საბავშვო ბაღი, საშუალო სკოლა, კლუბი, ჟურნალ-გაზეთები და პარლამენტში კვოტები. ირანის დანარჩენი მოსახლეობა (ფერეიდნელების ჩათვლით) არიან მუსლიმანები, რომლებიც სპარსულ ენაზე სწავლობენ სკოლებში.

ფერეიდნელები არიან სრულუფლებიანი მოქალაქეები და ამ ქვეყნის კონსტიტუციით დაკანონებული ყველა უფლებით სარგებლობენ. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფერეიდნელი შეიძლება იყოს მიწათმოქმედი, აგრონომი, პედაგოგი, ექიმი, რაიონის გამგებელი, მეწარმე, ოფიცერი, დიპლომატი და სხვა. ბევრია წიგნიერი ფერეიდნელი, რომლებიც მრავალი წერილის გარდა, აქვეყნებენ წიგნებს: მოჰამად სეფიანი, „ქართველი ირანელები“ (სპ., 1979); მალექ მოჰამად რაჰიმი – „ირანის ქართველები“ (სპ., 2000); საიდ მულიანი – „ქართველების როლი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში“ (სპ. 2000); მოჰსენ ხუციანი, – „ქომეილის ლოცვები“ (არაბულ-სპარსულ-ქართული ტექსტები, 2001); იმამყული ბათოვანი– „საქართველოს გეოგრაფია“ (სპ. 2002); ფერეიდანის კულტურის ცენტრის მიერ გამოცემული „დედაენა“ – თვითმასწავლებელი (2002); ნოურუზ ლაჩინანი – „ქართულ-სპარსული ლექსიკონი“ (16000 სიტყვა – 2007); საიდ მულიანი – „აი ია, დედაენა“ (ფოტოები, ს.მულიანის, 2007); ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2009 წელს გამოაქვეყნა ბატონ ედუარდ შევარდნაძის წიგნი „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“. მთარგმნელები: ალირეზა ასლანი და მისი მეუღლე ფარვინ თავაზო, რედაქტორი ჯემშიდ გიუნაშვილი; ამ შთამბეჭდავ ჩამონათვალს აგვირგვინებს ნოურუზ ლაჩინანის ლექსიკონის მეორე გამოცემა „ქართულ-სპარსული ლექსიკონი“ (39000 სიტყვა, 2016).

ჯემშიდ გიუნაშვილი

◎ პლაგიატი, ანუ კრიმინალი

კანონი სჯის პლაგიატს. თქვენი მოადგილე – მფარველობს. თქვენ?

ღია წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბ-ნ მ. გიორგაძეს

„დილეტანტი თავხედია – მან არ იცის სირთულე თავისი პროფესიისა“.

ლილი იოსელიანი

ბატონო მიხეილ,

პერიოდულ პრესაში („საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“) უკვე ორი წერილი გამოვაქვეყნე იმის თაობაზე, თუ რა სამარცხვინო (ამ სიტყვის სრული გაგებით) წიგნი – „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ გამოიცა თქვენი დაფინანსებით. თუმცა სულ სხვაგვარად ფიქრობს თქვენი მოადგილე, ქ-ნი მ. ბერიკაშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს არის უნიკალური და არაჩვეულებრივი ნაშრომი. თქვენს სამინისტროში გამართულ პომპეზურ პრეზენტაციაზე სწორედ ამ სიტყვებით მიულოცა ლექსიკონის ავტორ-შემდგენლებსა – ქ-ნ რ. ქუთათელაძესა და ქ-ნ მ. ჯაფარიძეს. ყოველივე ამას კი, სამწუხაროდ, გუნდრუკს უკმევს ჟურ. „მუსიკა“ (№ 1, 2016)...

ქ-ნი მ. ბერიკაშვილი უფრო შორსაც მიდის – აპირებს, ხელახლა გამოსცეს ეს უდღეური ნაშრომი და აქ, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც თავად მომწერა, თურმე ჩემი და ჩემნაირი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების იმედი აქვს...

არ ვიცი, რამდენად, ან საერთოდ თუ იყო ეს სულმდაბლური გარიგება შეთანხმებული თქვენთან, მაგრამ ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო მინისტრო, რომ უწიგნურობასა და განსაკუთრებით პლაგიატს, ანუ კრიმინალს, რომელსაც, როგორც ცნობილია, სჯის კანონი სხვისი ნაშრომის მითვისების გამო, ვერაფრით წავახალისებ, ხოლო უკეთუ თქვენი სამინისტრო, ქ-ნ მ. ბერიკაშვილის ახირებით, ისევ გამოყოფს თანხას ამ ვაი-ლექსიკონზე, გაფრთხილებთ, ეს უკვე კიდევ ერთი კრიმინალი იქნება და შემდეგ ვერც ვერაფრით იმართლებთ თავს.

ამდენად, გეტყვით ძალიან მოკლედ (ეს ჩემი პროფესიულ-მოქალაქეობრივი ვალია!): უმეცარ და პლაგიატ ვაი-მუსიკისმცოდნეებისაგან შეკოწიწებული ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც იმდენადაა დახუნძლული პირველი ქართული ენციკლოპედიიდან („ქსე“) ქსეროქსისებური სიზუსტით გადმოტანილი სტატიებით, რომ სიჩქარეში აშკარა შეცდომა-ლაფსუსებიც კი გადმოუყოლებიათ, ამოღებულ უნდა იქნეს ხმარებიდან (არის პოლიგრაფიაში ასეთი ტერმინი), გაწეული ხარჯები სრულად უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს ამ ავტორებისა და ხსენებული მფარველებისაგან, თქვენ კი, სამინისტრომ, ბოდიში უნდა მოიხადოთ საზოგადოების წინაშე ქართული ენციკლოპედიური სკოლის სახელოვანი ტრადიციების შებღალვის გამო. შეგახსენებთ, სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი იმ პირებისთვის, რომლებიც ხელყოფენ საავტორო უფლებებს, ითვალისწინებს სწორედ ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ორ წლამდე.

ასეთ კატეგორიულ განცხადებას ვაკეთებ არა მხოლოდ, თქვენი მოადგილის დახასიათებით რომ ვთქვა, „მაღალკვალფიციური სპეციალისტი“, არამედ როგორც პირველი ქართული ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორი და მისი რედაქციის ყოფილი თანამშრომელიც – ჩვენი დროის გამოჩენილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, ბ-ნ ირაკლი აბაშიძემ ნამდვილი მოქალაქეობრივი გმირობა გამოიჩინა, როცა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, უფლის წყალობით, შეძლო და ირგვლივ შემოიკრიბა იმდროინდელი ქართული ინტელექტუალური სამყაროს საუკეთესო წარმომადგენლები და შექმნა კიდეც ეპოქალური დოკუმენტი – პირველი ქართული ეროვნული ენციკლოპედია („ქსე“), რომლის გაძარცვა და შეურაცხყოფა არავის ეპატიება და ამდენად, კეთილი ინებეთ, დააოკეთ თქვენი მოადგილის ვნებები. ქ-ნ მ. ბერიკაშვილსა და მის ამალას (ლექსიკონის ავტორ-რედაქტორ-კონსულტანტ-მხარდამჭერთა მთელ არმიას) წინამდებარე სტატიის გამოქვეყნებით უკვე საჯაროდ ვდებ ბრალს პლაგიატსა და, შესაბამისად, კრიმინალში, რაც სრულიად საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ სასამართლოში მიჩივლონ, ცხადია, თუ სწამთ საკუთარი სიმართლე და ადამიანური ღირსებაც შერჩენიათ, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ-ნო მინისტრო, რომ ისინი ამას არ გააკეთებენ... ჰოდა, თქვენი მონამორჩილიც მხოლოდ ორ კვირას დაელოდება და მერე თავად გადადგამს ამ ნაბიჯს, კანონი კი იმ ჩირგვებსაც მისწვდება, სადაც რა ხანია, გატრუნულა თქვენი მოადგილის ამალა, აქაოდა, „ვერვინ მოვა ჩვენზედაო“.

ერთიც და ვამთავრებ: ბ-ნო მინისტრო, ვიცი, გაოცებული იქნებით, ასე ზოგადად რომ ვლაპარაკობ და, საერთოდ, არ მითქვამს, უწიგნურობის რა „დღეასასწაულია“ თქვენი დაფინანსებული გამოცემა. მინდა, იცოდეთ, რომ ყოველივე ამაზე ე.წ. ღია ეთერით საუბარი ერთი თვის წინათ საჯაროდ შევთავაზე თქვენს მოადგილესა და მის დამქაშებს, მაგრამ ამაოდ... ისე, თუ თქვენი ნება იქნება, უშუალოდ თქვენი დასწრებით, შემიძლია ნამდვილი, ახლა ესოდენ მოდური მასტერკლასი ჩავუტარო თქვენს მოადგილესა და ენციკლოპედომანიით შეპყრობილ მთელ მაგ არმიას. გარწმუნებთ, ამ 608-გვერდიანი წიგნიდან მხოლოდ პირველ გვერდს, ვიმეორებ, მხოლოდ პირველ გვერდს გავუანალიზებ მათ და სამუდამოდ მოისვრიან ნაცოდვილარ კალამს... ამასაც მხოლოდ იმიტომ გავაკეთებ, რომ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი პირადად თქვენ მიმართ, მას შემდეგ, რაც საზოგადო ასპარეზზე გამოჩნდით (მინისტრობამდელ პერიოდს უფრო ვგულისხმობ) და ახლა ნამდვილად ვწუხვარ, რომ პირველად ასეთ უსიამოვნო თემაზე მომიწია თქვენთან კონტაქტი.

მარად თქვენი
გოგი დოლიძე

"დამესიზმრება... მზიანი მხარე"

იანკა კუპალას დღეები წყალტუბოში

წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ბელარუსული ლიტერატურის კლასიკოსის, პოეტის, პუბლიცისტის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის იანკა კუპალას დღეები გაიმართა. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ქალაქ-კურორტს ეწვივნენ მინსკში არსებული იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი ელენე ლეშკოვიჩი,მუზეუმის თანამშრომლები — ოლგა პარხიმოვიჩი, ელინა სვიდოროვიჩი. სტუმრებმა მწერლის შემოქმედების გაცნობის გარდა აქაურ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და მუზეუმის ფუნქციური დატვირთვის მიზნით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სტანდარტები გააცნეს.

პირველი ღონისძიება გიორგი ახვლედიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იანკა კუპალას შემოქმედებას მიეძღვნა. ცნობილია, რომ ბელარუს პოეტს განსაკუთრებით უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. როგორც აღინიშნა, ის სამჯერ იყო ჩამოსული დასასვენებლად ჩვენს კურორტში.მკურნალ ექიმებთან ვლადიმერ კიკნაძესთან, თინათინ ჯავახიშვილთან და სხვებთან ერთად, ხშირად მოგზაურობდა ქუთაისსა და წყალტუბოს მიმდებარე სოფლებში: ხომულში, ჩუნეშში, გვიშტიბში, დაკვირვებით ეცნობოდა ქართულ სადღესასწაულო რიტუალებს. აღტაცებული უსმენდა ხალხურ სიმღერებს, საუბრობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან. აინტერესებდა მათი ცხოვრება, მუშაობა ჩაის პლანტაციებსა და ვენახებში. სათაფლიაზე ექსკურსიის დროს გაიცნო მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი.

იანკა კუპალას წყალტუბოში ჰყავდა თავისი ცნობილი ლექსის „გენაცვალეს“ მუზაც — მკურნალი ექიმი ელიკო მეტეხელი. მათ სიყვარულზე წერდა პოეტი ალექსანდრე შანიძე თავის მოგონებებში. კუპალას არშემდგარი და დაფარული სიყვარული ქართველი ქალისადმი სწორედ წყალტუბოს უკავშირდება. ღონისძიებას ესწრებოდნენ ელიკო მეტეხელის ნათესავები — ლელა და გივი ყურაშვილები, რომლებიც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მოიკითხეს ბელარუსმა სტუმრებმა და სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს მათ.

— „როცა წავიკითხე ეს ლექსი, ვიფიქრე, რა ბედნიერი იყო ეს ქართველი ქალბატონი,რომ ბელარუსის № 1 პოეტი შესანიშნავ სტრიქონებს უძღვნიდა. ის მასზე წერდა: **„ჩემი „გენაცვალე“ არის წყალტუბოში, მე ის მიყვარს და მეყვარება. ქართველმა ქალებმა გამაკვირვეს გრძნობის სიწმინდით“**... მე პირველად ვარ საქართველოში და წყალტუბოში, ახლა ვხვდები, რატომ უყვარდა ასე ქართველები იანკა კუპალას. ჩვენს მუზეუმში მის სამუშაო ოთახში ერთ ადგილას გროვად ყრია პატარა კენჭები, რომლებიც კუპალას ჩამოჰქონდა საქართველოდან, „აქ ჩემი პატარა საქართველოაო“, — ამბობდა ის. მეც მინდა, აქედან წავიღო პატარა ქვები და დავდო ჩვენს მუზეუმში“ — ასე მიესალმა ოლგა პარხიმოვიჩი შეკრებილ საზოგადოებას.

იანკა კუპალას მეგობრები იყვნენ ნიკო ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვა ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. კუპალას მუზეუმის ხელმძღვანელმა ელენე ლეშკოვიჩმა მწერლის ცხოვრების რამდენიმე მნიშნელოვან ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება და დამსწრეთ მუზეუმიდან ჩამოტანილი ბანერებიდან გააცნო მინსკში დაცული ფოტომასალა, სადაც იანკა კუპალა თბილისის რკინიგზის სადგურში ესალმება ქართველ ხალხს (ის 1937 წლის დეკემბერში საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულა, რათა დასწრებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დღეებს), აქვეა პირადი მიმოწერები, ტელეგრამები და მილოცვები, რომელსაც მწერალი საქართველოში თავის მეგობარ მწერლებს უგზავნიდა.

კიდევ ერთი ეპიზოდი 1940 წელს ნიუ-იორკში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენას უკავშირდება, იქ იანკა კუპალა ცნობილ კინორეჟისორთან მიხეილ ჭიაურელთან და ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა და ჰქონდა პატივი, იქაურ პრესაში გამოექვეყნებინა სტატია „კულტურული პროგრესი საბჭოთა კავშირის ხალხებში“, სადაც ძირითადად ქართველი ერის განათლება, კულტურა, თეატრი დომინირებდა.

კუპალას შემოქმედებაში ბევრი ლექსია ჩვენი ქვეყნისადმი მიძღვნილი. **„ოქროს წვიმა დასწვიმს თავზე, ოქრომკერდით ქარგავს, საქართველოს სილამაზით სხვა ქვეყანა არ ჰგავს“,** — ასე ამკობდა იგი საქართველოს. პოეტის ლექსები 100-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი და როგორც კუპალას თაყვანისმცემლები აღნიშნავენ, არც ერთ ენაზე ისე ზუსტად და, ისე ლამაზად არ ჟღერს, როგორც ქართულად.

იანკა კუპალა, ისე როგორც იმ ეპოქის სხვა ქართველი მწერლები და მოაზროვნეები, მიუღებელი იყო იმ წყობისთვის. ის 1942 წლის 28 იანვარს მოსკოვში სასტუმრო „მოსკვას“ მე-9 სართულიდან გადმოვარდა. ოფიციალური ვერსიით ეს იყო უბედური შემთხვევა. სხვა წყაროებით კი ეს იყო გამიზნული მკვლელობა (მას ხელი ჰკრეს). კუპალას მუზეუმში დგას მისი სიკვდილის ამსახველი კონსტრუქცია და ის ლოდები, რომლებიც ძველი სასტუმროს ნაშთს წარმოადგენს.

იანკა კუპალას ლიტერატურული მუზეუმი მინსკში ყველაზე ცენტრალურ ადგილას მდებარეობს. მუზეუმს აქვს ოთხი ფილიალი იმ ადგილებში, სადაც პოეტი დაიბადა და პერიოდულად ცხოვრობდა. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელმა განაცხადა, თანამედროვე სტანდარტებით და ტექნოლოგიებით აღჭურვილ მუზეუმში მწერლის ნივთების გარდა არის უძველესი ბიბლიოთეკა, ფოლკლორული ხასიათის თამაშები, რითაც იზიდავენ დამთვალიერებელს, განსაკუთრებით კი — მომავალ თაობას.

ბელარუსმა კოლეგებმა წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებს უსახსოვრეს იანკა კუპალას ლექსებისა და აფიშების კატალოგები, ცნობილი ლექსის —„გენაცვალეს“ ავტორისეული ხელნაწერის ასლი და ეთნოგრაფიული დანიშნულების სუვენირები, ხოლო ტურიზმის სამსახურის თანამშრომლებს თამთა ვარდოსანიძეს, ნინო კუჭავას და „გესთ ჰაუსის“ დიასახლისს მარინა ქუთათელაძეს გადასცეს იანკა კუპალას ლიტერატურული მუზეუმის მეგობრობის რწმუნების სიგელები.

ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა ელენე ლეშკოვიჩმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ბელარუსის კულტურის მინისტრის ს. სვიალტლოის წერილი გადასცა. სტუმრებს გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს ა(ა).ი.პ. „წყალტუბოს კულტურისა და ტურიზმის ცენტრის“ ხელმძღვანელებმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა. დელეგაციის მოწვევის ინიციატორი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი გახლდათ.

ბელარუსი მეგობრები წყალტუბოში ოთხი დღე დარჩნენ და იმერეთის მხარის სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები მოინახულეს. დასკვნით შეხვედრაზე იანკა კუპალას ლიტერატურულ მუზეუმს საჩუქრად გადაეცა უკვდავი შოთას „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო დელეგაციის წევრებს - ილუსტრირებული წიგნი „წყალტუბო“. ღონისძიებას ალამაზებდა ქართულ და ბელარუს ენებზე აჟღერებული იანკა კუპალას ლექსები და ფოლკლორულ ანსამბლ „ნადურის“ სიმღერები.

საერთაშორისო საგამოფენო პროექტის — „იანკა კუპალას კულტურის დიალოგის“ ფარგლებში მოძმე ერის ლიტერატურულმა მუზეუმმა საყვარელი პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა, რომელიც უკავშირდება „პესნიარის“ გზას ქართულ მიწაზე.

სოფიო ყანჩაველი,
მურთაზ კანკაძე
წყალტუბო.

იანკა კუპალა

გენაცვალე

/ელიკოს/

შორით მოსჩანან კლდეები, მთები,
ვხედავ დაფარულს თოვლით მწვერვალებს,
ჩემო ყვავილო, შენგან ვენთები,
შენ ჩემი მზე ხარ, შენ გენაცვალე...

მიყვარს წყალტუბო — ეს თბილი წყალი,
აქ სიყვარულით სულ დავიცალე,
შენში ვიპოვე ძვირფასი ქალი,
შენ შეგიყვარე, შენ გენაცვალე...

ძალას მმატებდა შენი ღიმილი,
ჩემო ოცნებავ, არ გაჰქრე მალე,
რომ არ მესიზმრო, რად მინდა ძილი,
ქართველო ქალო, შენ გენაცვალე...

რომ მოგშორდები, შენგან შორს წავალ
და ვერ ვიხილავ ჩემს ვარსკვლავს ხვალე
უშენოდ ვიგრძნობ ალბათ ობლობას,
ო, ჩემო ვარდო, შენ გენაცვალე...

დამესიზმრება ეს კლდენი, მთები
და საქართველო, მზიანი მხარე,
შენ დაგინახავ სიზმარში ცისკრად,
დამესიზმრები, შენ გენაცვალე...

ჩემო სინათლევ, ჩემო ელიკო,
მინდა, რომ გნახო აქ ისევ მალე,
მესმის შენი ხმა — ტკბილი „სულიკო“!
ქართველო ქალო, შენ გენაცვალე!..

1935

შეხვედრები წყალტუბოში.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა თითქმის დასრულებულია

აზერბაიჯანის **რკინიგზის ხელმძღვანელის ჯავიდ გურბანოვის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, შეიძლება ითქვას, დასრულებულია.**

ამის შესახებ გურბანოვმა აზერბაიჯანული გამოცემა ANS-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

გზის მშენებლობის შეყოვნებასთან დაკავშირებით, გურბანოვმა აღნიშნა, რომ არსებობს უამრავი გაუთვალისწინებელი საქმე, დამატებითი ხარჯი, სამუშაო მძიმე კლიმატურ პირობებში მიმდინარეობს.

„სინამდვილეში კი, საქართველოში, შეიძლება ითქვას, სამუშაო დასრულებულია“,-აღნიშნა გურბანოვმა.

მისივე თქმით, თურქეთში სამუშაოები 80%-ით დასრულებულია.

„თურქეთისთვის ეს გზა, რომელიც 85 კილომეტრს შეადგენს, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ზედა ნაწილია დარჩენილი და წლის ბოლომდე, დიდი ალბათობით, სამუშაოებს დაასრულებენ, და ჩვენ ტვირთის გადაზიდვას დიზელის ლოკომოტივებით შევძლებთ“, — აღნიშნა მან.

აბრეშუმის გზაზე საუბარისას ჯავიდ გურბანოვმა განაცხადა, რომ რუსეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ტერიტორიის გადაკვეთით, ეს გზა ვროპაში გასასვლელს აფართოებს.

„ევროპასა და ჩინეთს შორის ტვირთბრუნვა, დაახლოებით, 100 მილიონ ტონას შეადგენს. თუმცა, ეს გზა გაიზრდება. მის გაზრდასთან ერთად ტრანსპორტის საჭიროებაც გაიზრდება. ამასთან დაკავშირებით გზის გაფართოებაა საჭირო“, — განაცხადა აზერბაიჯანის რკინიგზის ხელმძღვანელმა.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲓᲦᲔᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

„ქართულ ოცნებას“, „ეს პრობლემები რომ არ ჰქონდა, რამაც სერიოზულად შეურყია პოზიციები მმართველ გუნდს, ბიძინა ივანიშვილის ჩართულობა შეიძლება ძალიან მინიმალური ყოფილიყო“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დამოუკიდებელი ექსპერტი ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲞᲐᲠᲘᲫᲔ. ის დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია და თუ გავითვალისწინებთ კორცხელის ინციდენტს, როგორი მოლოდინი გაქვთ, რამდენად კონსტრუქციულ რეჟიმში წარიმართება ქვეყანაში საარჩევნო კამპანია?

— საარჩევნო მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, რა გეგმები და განზრახვები აქვთ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს. უკვე გამოჩნდნენ გარკვეული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი არ ცნობენ არჩევნების სხვა შედეგს, გარდა იმ შედეგისა, რომელიც მათ გამარჯვებულად გამოაცხადებს.

ეს, ბუნებრივია, ნიშნავს იმას, რომ დიდი ალბათობით, ისინი დაიწყებენ საპროტესტო აქციებს და შეეცდებიან ამ აქციებში ჩაითრიონ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც აპრიორი, შეიძლება ითქვას, რომ მაინცდამაინც დიდი შანსი, არა თუ გამარჯვების, არამედ ბარიერის გადალახვისაც კი არ აქვთ, მაგრამ უკმაყოფილო იქნებიან არჩევნების შედეგებით.

— რომელი პოლიტიკური პარტიები გყავთ მხედველობაში?

— ვგულისხმობ იმ პარტიებს, რომლებსაც არც მანამდე ესინჯებოდათ პულსი. ასევე, გარკვეულ ახლად დაფუძნებულ პოლიტიკურ პარტიებსაც, რომლებიც მართალია, დიდი ამბიციებით მოვიდნენ პოლიტიკაში, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ვერ გადალახონ ბარიერი.

— ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიაში პაატა ბურჭულაძეს გულისხმობთ?

— არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ავიღოთ თუნდაც იგივე ბურჭულაძის პარტია, კი ბატონო, ხალხი იცნობს პაატა ბურჭულაძეს, მაგრამ რამდენად იცნობენ ამ პარტიის წევრებს რეგიონებში? იქ, მათი ცნობადობის ხარისხი შედარებით დაბალია და პაატა ბურჭულაძის მხრებზე შემომჯდარებმა რამდენი პროცენტი უნდა აიღონ, რომ ბარიერი გადალახონ, ან ხელისუფლებაში მოვიდნენ, როგორც ისინი ამბობენ?

რა თქმა უნდა, თუკი ვერ აიღებენ ხმების იმ რაოდენობას, რასაც ელიან, დიდი ალბათობით, ისინიც დაიწყებენ საუბარს იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდა.

თქვენ საუბრის დასაწყისში კორცხელის ინციდენტი ახსენეთ და შეიძლება ძალიან დიდი კორცხელი მივიღოთ, თუკი მოვლენები იმ სცენარით განვითარდება, რომ რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ გადაწყვიტოს არჩევნების შედეგების გაპროტესტება, გამოვიდნენ ქუჩაში და დაიწყონ პერმანენტული საპროტესო აქციები.

— როდესაც ოპონენტად გყავს „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის პოლიტიკური მიზანია ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა, შეძლებს ხელისუფლება, რომ მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩაატაროს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები?

— დიახ, გაუჭირდება ხელისუფლებას. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ ზუსტად არ ვიცით რა განზრახვები და გეგმები აქვთ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს. თუ ზოგიერთ პარტიას გადაწყვეტილი აქვს, რომ გაითამაშოს რევოლუციური სცენარი, ხელისუფლებამ მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში რომც ჩაატაროს არჩევნები, ყოველთვის გამოინახება რაღაცა მიზეზი იმისათვის, რომ ეჭვის ქვეშ დააყენონ არჩევნების შედეგები.

— მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პარტიებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება სახიფათო ზღვარს არის მიახლოებული...

— პოლარიზების ხარისხი მაღალია, არჩევნებში მონაწილეობის და ზოგადი პოლიტიკური კულტურა კი დაბალი. ასევე, ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია ორიენტირებულია მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზე, რომ პარლამენტში ერთი კაცი მაინც შეიყვანონ. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პოლიტიკური პარტიებს, რომლებსაც არც დამოუკიდებლად და არც ბლოკში გაერთიანებით ბარიერის გადალახვის არავითარი შანსი არ აქვთ. სწორედ ასეთი პოლიტიკური პარტიებისგან არის მეტად მოსალოდნელი, რომ ისინი წამოაგონ ანკესზე და ჩართონ რევოლუციურ პროცესში, როგორც ეს მოხდა 2003 წელს. გახსოვთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაშინ ლიდერის როლი აიღო, და მის ირგვლივ გაერთიანდნენ აბსოლუტურად განსხვავებული ორიენტაციის მქონე პარტიები და საზოგადოებრივი ჯგუფები. გვახსოვს ჩვენ ეს ყველაფერი!

— თუმცა, დღეს განსხვავებული პოლიტიკური ვითარებაა...

— მართალია, დღეს სხვა სიტუაციაა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ფერად რევოლუციებს აქვთ სათანადო ტექნოლოგიები და საზოგადოებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტები, რომლითაც შეუძლიათ შეცვალონ საზოგადოების ქცევის ლოგიკა. მით უმეტეს, როდესაც ასეთი მძიმე სოციალური და ეკონომიკური სიტუაციაა ქვეყანაში. სწორედ ამაზე მიანიშნებდა თავის გამოსვლაში ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომ ეკონომიკის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე დემოკრატიის დონე. შეიძლება ჩვენ ვერ შევქმენით ისეთი დემოკრატია, რომელითაც ევროპას გავაოცებდით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დღევანდელი საარჩევნო გარემო გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ეს იყო 2012 წელს.

— ივანიშვილის წერილში და ყველა მის გამოსვლაში იგრძნობა, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა არის „ნაციონალური მოძრაობა“. რატომ არის ხელისუფლება დაინტერესებული, რომ ოპონენტად უმძიმესი წარსულით დატვირთული „ნაციონალური მოძრაობა“ ყავდეს?

— ბატონი ივანიშვილის წერილშიც და მის შემდგომ განცხადებებშიც იკითხებოდა, აშკარად არგაცხადებული, მაგრამ საკმაოდ გამჭვირვალე სურვილი იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ უნდა საპარლამენტო არჩევნებში დაიმარტოხელოს „ნაციონალური მოძრაობა“. ძალიან ბევრი ფაქტორის გამო მას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლა გაცილებით უფრო ეადვილება, ვიდრე თანაბარი ძალის მქონე პოლიტიკურ პარტიასთან. რთულია არჩევნები მოუგო ძლიერ, პოპულარულ და თანაბარწონად პარტიას. ისეთ პარტიასთან, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა,“ რომელსაც ასეთი მძიმე წარსული მოჰყვება, არჩევნების მოგება გაცილებით მარტივია. თუმცა, მე მგონია, რომ არც სხვა პარტიებია იმდენად მოძლიერებული, რომ კონკურენცია გაუწიონ „ქართულ ოცნებას“.

— სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე აცხადებს, რომ რეიტინგის პრობლემა აქვთ რესპუბლიკელებს, მაგრამ იგივე პაატა ბურჭულაძემ შესაძლოა, გარკვეული პრობლემა შეუქმნას „ქართულ ოცნებას“. დღევანდელი ვითარებით, რომელ პარტიას აქვს ბარიერის გადალახვის პრობლემა?

— ამ საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ არენაზე გამოვიდა რამდენიმე ახალი პოლიტიკური მოთამაშე, რომელთაც სერიოზული ფინანსური და ადამიანური რესურსები აქვთ. ეს ნიშნავს, რომ მოხდება როგორც მინიმუმ, ელექტორატის გადანაწილება. ავიღოთ იგივე პაატა ბურჭულაძის პარტია, დიდი ალბათობით, შეიძლება ითქვას, მან შეიძლება ამომრჩეველი წაართვას როგორც „ქართულ ოცნებას“, ასევე „ნაციონალურ მოძრაობას“, ამომრჩეველთა გარკვეული სეგმენტი წამოიყვანოს „თავისუფალი დემოკრატებისგან“, რესპუბლიკელებისგან და სხვა პარტიებისგან.

ზუსტად, ასევე შეიძლება „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილი წაართვან იგივე ნაცმოძრაობას. მაინცდამაინც არ ვარ დარწმუნებული გიორგი ვაშაძისა და „გირჩის“ დიდ შესაძლებლობებში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მათაც შეუძლიათ ამომრჩევლის მცირე ნაწილი ჩამოაჭრან ნაცმოძრაობას, „ქართულ ოცნებას“ და „თავისუფალ დემოკრატებს“. აქ საუბარია შედარებით ლიბერალურად განწყობილ პროდასავლურ ამომრჩეველზე. გასაგებია, რომ ეს არ არის ის ელექტორატი, რომელიც ხმას მისცემდა „პატრიოტთა ალიანსს“ და მსგავს პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომ პარტიებს. იქ სულ სხვა ტიპის ამომრჩეველია. ეს არის ტრადიციონალისტურ-კონსერვატიული ამომრჩეველი, რომლისთვისაც იბრძოლებს როგორც „ქართული ოცნება“, „პატრიოტთა ალიანსი“, ნინო ბურჯანაძის, გოგი თოფაძის, თამაზ მეჭიაურის პარტიები და რამდენიმე სხვა, ნაციონალურ-პატრიოტულ პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური ძალები.

აი, ასეთი საინტერესო კონფიგურაცია იკვეთება. ერთი მხრივ დგანან გამოხატული პროდასავლური ძალები, მეორე მხრივ დგანან ეროვნულ-პატრიოტულ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკური პარტიები. სადღაც მათ შუა არის „ქართული ოცნება,“ რომელსაც სურს მოიზიდოს ორივე ტიპის ამომრჩეველი.

— ამ ვითარებაში „ქართული ოცნებისთვის“ რას ნიშნავს ივანიშვილის ჩართვა საარჩევნო პროცესებში. რას შემატებს ექსპრემიერი მმართველ გუნდს?

— ყველაფერს! როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა ასე აქტიურად საარჩევნო პროცესებში ჩართვა? — „ქართულ ოცნებას“ რომ შეექმნა პრობლემები, სწორედ ამან აიძულა ივანიშვილი, რომ აქტიურად ჩართულიყო საარჩევნო პროცესში. ეს პრობლემები რომ არ ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, რამაც სერიოზულად შეურყია მას პოზიციები, ბიძინა ივანიშვილის ჩართულობა შეიძლება ძალიან მინიმალური ყოფილიყო. სწორედ მისი აქტიურად ჩართულობა არის ირიბი ინდიკატორი იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰაერივით სჭირდება დღეს ბიძინა ივანიშვილის დახმარება.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ.

„ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲐᲥᲐᲪ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ!

ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲡ ᲠᲗᲣᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲜᲝᲑᲐ...

(ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

საარჩევნო კამპანია მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის პროცესით დაიწყო „ნაციონალურმა მოძრაობამ“. პარტიამ ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატად ელენე ხოშტარია წარადგინა. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, „ნაციონალური მოძრაობა“ მათ ეტაპობრივად წარადგენს. მაჟორიტარი კანდიდატები არ წარუდგენია, თუმცა ხუთ ოპოზიციურ პარტიასთან ერთად საარჩევნო ბლოკი წარადგინა „პატრიოტთა ალიანსმა“. საარჩევნო ბლოკის სახელწოდება იქნება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი — გაერთიანებული ოპოზიცია“. ალიანსის წევრები აცხადებენ, რომ მზად არიან სხვა პარტიებთან კონსულტაციისთვის, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასთან ასოცირებული პარტიებისა.

საარჩევნო სიისა და შტაბის ხელმძღვანელის წარდგენას არ ჩქარობს ოპოზიცია. სავარაუდოდ, პარტიები გამოიყენებენ კანონით გათვალისწინებულ ნორმებს და 30 დღეზე ადრე სიას არ გამოაქვეყნებენ. ანალიტიკოსები ამის მიზეზად პარტიების დაბალ რეიტინგს ასახელებენ.

სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე ამბობს, რომ რეიტინგების თვალსაზრისით „რესპუბლიკური პარტია“ მძიმე მდგომარეობაშია. ასეთივე მდგომარეობა აქვს ყველა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტები იყვნენ.

„თუ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, გამოდის, სერიოზული პრობლემები აქვს იმ პოლიტიკურ ბირთვს, რომელიც ხელმძღვანელობს ამ პოლიტიკურ პარტიას. ან არ ფლობენ საარჩევნო ტექნოლოგიებს, რაშიც ისინი სისუსტეს ავლენენ ხოლმე. ივანიშვილის განცხადება, რომ „ქართულ ოცნებას“ კონკურენტი არ ჰყავს საპარლამენტო არჩევნებში და ის 95 დეპუტატით შევა პარლამენტში, უშუალოდ არამარტო „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ განხორციელებული დარტყმაა, არამედ ყველა იმ დანარჩენ პოლიტიკურ ორგანიზაციაზეც, რომელიც „მესამე სივრცეში“ არიან.

იქიდან უნდა წამოიღოს ეს ხმები, ვინაიდან ეს ხმები, რაც გადანაწილდა „პატრიოტთა ალიანსზე“, ბურჯანაძის პარტიაზე, „ეროვნულ ფორუმზე“, „თავისუფალ დემოკრატებზე“, და ა.შ. არის „ოცნებიდან“ წამოსული ხმები, ამდენად, ამ ხმების დაბრუნებას ცდილობს და ამ თვალსაზრისით, ეს სავსებით შესაძლებელია.

ამ სტრატეგიამ იმუშავა 2012 წლის არჩევნებში, 2013 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებზე და 2014 წელს ადგილობრივ არჩევნებზე. ამდენად, „ქართული ოცნება“ კვლავ შეეცდება, ამ სცენარის გამეორებას, მით უფრო, რომ პაატა ბურჭულაძის რეიტინგი გარკვეულ პრობლემას უქმნის „ქართულ ოცნებას“, — აცხადებს **ვალერიან გორგილაძე.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, **რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს ერთი თავისებურება, მცირე ცუდმა შედეგმა შეიძლება გუნდს შეცდომა მოუტანოს, მაგრამ მერე მთლიანობაში გუნდი ცდილობს, რომ შეცდომა გამოასწოროს.**

ამ გუნდში იგულისხმება ბიძინა ივანიშვილიც. როდესაც გუნდს ასეთი დამცავი მექანიზმები აქვს, იქ შეცდომების დრამატიზება არ ხდება ხოლმე მომავალში. ფაქტია, რომ კალაძეს უფრო რთულ პირობებში მოუწევს გუნდის კაპიტნობა, ვიდრე 2012 წელს იყო. 2012 წელს პარტიის მხარდაჭერა პრაქტიკულად გარანტირებული იყო ხალხის მხრიდან. დღეს უკვე ეს მხარე არის პრობლემა და ამდენად, შტაბის ხელმძღვანელის წინაშე უფრო რთული ამოცანები დგას, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„КАСПІЙ“ (აზერბაიჯანი):

სომხეთი საქართველოსთან დაკავშირებით ჯიუტი ვირივით იქცევა

გასულ კვირას გაეროს გენასამბლეამ 57 ხმით 13-ის წინააღმდეგ საქართველოსთვის სასარგებლო რეზოლუცია მიიღო — „აფხაზეთიდან (საქართველო) და სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების მდგომარეობის შესახებ“. კენჭისყრისას სომხეთმა ხმა წინააღმდეგ მისცა. ოფიციალური თბილისი „საწყენად“ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სომხეთმა მხარი არ დაუჭირა საქართველოსათვის სასარგებლო რეზოლუციას“, — აღნიშნულია აზერბაიჯანულ გამოცემა „კასპიი“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი - ალი საიდოვი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ რაც დრო გადის, საქართველოს ამ საკითხში მხარს სულ უფრო მეტი სახელმწიფო უჭერს. ამ რეზოლუციის ხმის მიცემის დროს თბილისმა 76 სახელმწიფოს მხარდაჭერა მოიპოვა, მაგრამ მათ შორის სომხეთი არ არის. „სომხეთი ჯიუტი ვირივით იქცევა და თავისი პოზიციის შეცვლა არ სურს. საკვირველი ურყევობაა“, — ხაზს უსვამს ავტორი, — 2016 წელს ერევანმა კვლავ შეინარჩუნა თავისი „კეთილმეზობლური ტრადიცია საქართველოს მიმართ“.

ვინმემ შეიძლება გაიფიქროს, რომ სომხეთი ასეთი მოქმედებით რუსეთის წინაშე მოკავშირის ვალდებულებას ასრულებს“, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენი უმადური მეზობლების ქცევას მათივე საკუთარი მერკანტილური ინტერესები განსაზღვრავს. მაგალითად, 2015 წელს, როცა უკრაინის ამბების გამო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთისათვის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე რეზოლუციას იხილავდნენ, აზერბაიჯანმა რუსეთს მხარი დაუჭირა, სომხეთმა კი თავი შეიკავა.

ასეთ სიტუაციაში გამაოგნებელია საქართველოს მშვიდი პოზიცია, რომელსაც სომხეთი მუდმივად სისხლს უშრობს სხვადასხვა პრეტენზიებით — ხან ჯავახეთის შესახებ, ხან ეკლესიების კუთვნილების თაობაზე... სულ ბოლოს სომხეთი აფხაზეთსაც გადასწვდა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებს.

ყოველთვის, როცა კი საქართველოს წინააღმდეგ გამოდის, სომხეთი ცრემლებს ღვრის და უშნოდ ცდილობს, საკუთარი ქმედება გაამართლოს.

ქართველები მომთმენი ხალხია, მაგრამ, ალბათ, დადგება დრო და მათაც მოთმინების ფიალა აევსებათ.. ჰოდა, თბილისი ერევანს ჟანგბადს გადაუკეტავს და ის თავის მთავარ სპონსორთან — რუსეთთან მხოლოდ საჰაერო მიმოსვლის ამარა დარჩება. აი, მაშინ მართლაც მოვა სომხეთის აღსასრული, რომელიც ისედაც ეკონომიკურ და სოციალურ კოლაფსში იმყოფება.

რუსებზე განაწყენებული აფხაზები

სოხუმის დე ფაქტო მერი ადგურ ხარაზიას განცხადებით, რუსეთი აფხაზებს როგორც მოკავშირეებს, ისე არ ექცევა. ხარაზიას განმარტებით, რუსეთი აფხაზეთში სამხედრო ბაზებისთვის უზარმაზარი ტერიტორიით სარგებლობს და ამისთვის აფხაზებს კაპიკებს უხდის. ხარაზიას განცხადებით, აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობა უფრო გამჭვირვალე გახდეს. „მათ ეს ბაზები მხოლოდ ჩვენს დასაცავად არ გაუხსნიათ. პირველ რიგში, ეს ბაზები სჭირდებათ რუსეთის ნატო-სგან დასაცავად. რატომ არ უნდა გადაგვიხადონ ამისთვის? რატომ არ უნდა გადავიტანოთ ჩვენი ურთიერთობა ცივილიზებულ ჭრილ-

ში? მთელი მსოფლიო ასე ცხოვრობს, რატომ უნდა არსებობდეს რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობებში განსაკუთრებული წესები? რუსებს ჰგონიათ, რომ საჩუქარს გვიკეთებენ. მაგრამ აქ არანაირ საჩუქარზე საუბარი არ არის. ის კაპიკები, რასაც ჩვენ გვაძლევენ, არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენ მივეცით. რატომ არ გვექცევიან როგორც მოკავშირეებს? ჩვენ რა, ამერიკაში მივდივართ? ჩვენ მხოლოდ ერთს ვაცხადებთ, რომ გვსურს რუსეთთან ერთად გავაგრძელოთ გზა. ამიტომ რუსეთი სხვანაირად უნდა გვიყურებდეს“, - აცხადებს სოხუმის დე ფაქტო მერი.

◎ კვლევა

როგორ და რაში იხარჯება მილიონები?

(მეოთხე გვერდიდან)

მაგალითად, 2012 წლის ბიუჯეტის გეგმის დაზუსტების შემდეგ მსუბუქი ავტომანქანების შესყიდვებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი 1500 პროცენტით გაიზარდა (50 ათასი ლარიდან 813 ათას ლარამდე). 2014 წელს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ჯამურად 417 ათას ლარზე მეტი დარჩა ასათვისებელი. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ერთ-ერთი მსხვილი მხარჯავი დაწესებულებაა. მისი დაფინანსება გასულ წელს 50 მილიონ ლარამდე გაიზარდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011-2013 წწ. საბიუჯეტო განაცხადში არ ჩანს: როგორი შესყიდვით, რა რაოდენობით, რა მიზნით მოხდა დაახლოებით მილიონ-ნახევარზე მეტი ლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილების შეძენა; რამდენი მანქანის ყიდვა იყო დაგეგმილი, რომელი დაწესებულებისთვის და რა მიზნით.

მაგალითად, 2013 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასამართლოების სისტემის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამისთვის 36 მილიონი ლარი მოითხოვა, ფინანსთა სამინისტრომ კი 34 მილიონი ლარი გამოუყო, ანუ 2 მილიონით ნაკლები. როგორც გაირკვა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ფინანსთა სამინისტროსთვის არანაირი დასაბუთება არ შეუთავაზებია აღნიშნული სხვაობის მიღების აუცილებლობის დასადასტურებლად...

ანუ ეს დეტალები იმაზე მიუთითებს, რომ „უმაღლესი იურისტები“ მართალია, კანონს არ არღვევენ, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ფინანსებში იურიდიულად ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდეთ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ბიუჯეტში უნდა მოხდეს აუცილებელი თანხების შესაბამისი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვის განსაზღვრა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა და იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ აუცილებელია, მოახდინონ ფინანსური უფლებამოსილების განსაზღვრა, რაც საბოლოო ჯამში სასამართლო სისტემის ზოგადი გაუმჯობესებისთვის არის აუცილებელი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისთავად ეთანხმება არასამთავრობო სექტორის შენიშვნებს. როგორც საბჭოს წევრი კახა სოფრომაძე აღნიშნავს, **„შიდა აუდიტის ინსტიტუტის ამოქმედება აუცილებელი პირობაა, ხოლო ის რეკომენდაციები, რაზეც მიუთითებენ, გათვალისწინებული იქნება მომავალი წლების ბიუჯეტებში“**, თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ სასამართლო სისტემა თავისებურია, ამიტომ წინასწარ ყველაფრის ზედმიწევნით დაგეგმვა და განსაზღვრა ნებისმიერ მენეჯერს, თუნდაც პროფესიონალს, ძალიან გაუჭირდება.

თეა მოსია

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთის პოლიციამ ფეხბურთში რუსეთის ნაკრების გულშემატკივართა სასტუმროში რეიდი მოაწყო

სრულიად რუსეთის გულშემატკივართა გაერთიანების ხელმძღვანელის ალექსანდრ შპრიგინის სიტყვებით, პოლიციელები ავტომატებით იჭრებოდნენ ნომრებში. წესრიგის დამცველებმა გადაიწერეს გულშემატკივართა დოკუმენტები და გადაუღეს მათ ფოტოები, აგრეთვე ჩამოართვეს ალკოჰოლი.

გერმანია მზადაა, წავიღეს თურქეთთან დათმობაზე მიჭინგების შესახებ შეთანხმების შენარჩუნების გამო

ამის შესახებ იტყობინება გაზეთი The Telegraph ბრიტანეთის დიპლომატიურ წყაროებზე მითითებით. მათი მონაცემებით, გერმანია მზადაა შემოიღოს უვიზო რეჟიმი თურქეთის მოქალაქეებისათვის, მიუხედავად ქვეყნის პრეზიდენტის უარზე — შეასრულოს ევროკავშირის პირობები ამ საკითხზე.

ჰაკერებმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან გაჭეხეს 140 ათასი კომპიუტერი სამხრეთ კორეაში

კიბერდამნაშავეებმა კომპიუტერებზე დააყენეს საზიანო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელთა გამოყენებასაც აპირებდნენ მასშტაბური კიბერშეტევისათვის. ზოგიერთი მონაცემებით, ჰაკერების ხელში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო დოკუმენტები ინფორმაციით ამერიკულ ავიაგამანადგურებელ F-15 -ზე.

მსროლელი ორლანდოდან მუშაობდა დიდ დამცველ კომპანიაში, რომელიც თანამშრომლობდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან

29 წლის ომარ მატინი 2007 წლიდან მუშაობდა დიდ ბრიტანულ კომპანია „G4S“-ში, რომელსაც კლიენტები ჰყავდა 100-ზე მეტ ქვეყანაში. თავის მოვალეობათა ფარგლებში ორლანდოს ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილს ჰქონდა იარაღის ტარების უფლება.

ტრამპმა მოუწოდა ობამას, გაღადგეს, კლინტონს კი - მოხსნას თავი არჩევნებიდან

რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტის პოსტის კანდიდატმა მოითხოვა ბარაკ ობამასაგან და თავისი მეტოქისაგან — აღიარონ რადიკალური ისლამური ტერორიზმის სერიოზული საფრთხე და გადადგნენ.

შეიარაღების მსოფლიო ვაჭრობა 10 წლის განმავლობაში მაქსიმალურად გაიზარდა

შეიარაღების გლობალური ბაზარი 2015 წელს გაიზარდა 10 და მეტი პროცენტით და მიაღწია 65 მილიარდი დოლარის მოცულობას. ასეთი ზრდის ძირითადი მიზეზი გახდა საუდის არაბეთის მიერ სამხედრო ტექნიკის შესყიდვის მკვეთრი გადიდება.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

ვიოლინი ეგნატაშვილის მოგონებები

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვმა)

სტალინი, კიროვი და შვერნიკი

სანლში, რომელიც კოტელნიკოვის სანაპიროზეა

— მაინც, რას აკეთებდით 1941 წელს ინგლისში?

— მე იქ ვიყავი საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც ნიკოლაი მიხაილოვიჩ შვერნიკის მდივანი. მიგვიღო ჩერჩილმა. ის სურათიც მაქვს, სადაც ჩერჩილი და მე ერთ მაგიდასთან ვსხედვართ, — თქვა გიორგი ალექსანდრეს ძემ, საქაღალდიდან მოზრდილი ფოტოსურათი ამოიღო და ჩემ წინ დადო, — შემთხვევა, რომელსაც ახლა მოგიყვებით, სტალინის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტზე ლაპარაკობს. ეს კი აი, ასე იყო: სტალინი მიმართავს ჩერჩილს: —„მომისმინე, რატომ არ მიგზავნი იარაღს და საბრძოლო მასალას, რომელსაც შემპირდი?“

ჩერჩილი უპასუხებს: „როგორ უნდა გამოგიგზავნო, როცა ჩემი რამდენიმე სამხედრო ქარხანა გაფიცულია. ტროცკისტები პოლიტიკურ კაპიტალს აგროვებენ!“ „მომისმინე, მე დაგეხმარები და შენი მუშები იმუშავებენ“, — ეუბნება სტალინი. მართლაც, თოთხმეტ დეკემბერს ჩვენთან ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონ იდენი, შეხვდა მთავრობის წევრებს, იყო ფრონტზე, გაარკვია ვითარება — ვუძლებდით თუ არა გერმანელების შემოტევას და ხომ არ აღმოჩნდებოდა მათ მიერ საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი იარაღი გერმანელების ხელში? იმ დღეს მე შვერნიკთან ერთად სახალხო კომისართა საბჭოში ვიყავი — ის იქ შეთავსებით სახალხო კომისრის მოადგილედ მუშაობდა. ხოლო ლავრენტი საბუთების მომზადებაში ეხმარებოდა. ნიკოლაი მიხაილოვიჩი შეამოწმებდა იმ საბუთებს, ვიზირებდა და გააგზავნიდა სტალინის ხელმოსაწერად. ერთ დღესაც სტალინმა შვერნიკი გამოიძახა და უთხრა: „შეაგროვებ დელეგაციას და იდენთან ერთად მისი იმ სამხედრო გემით, რომელიც ახლა მურმანსკში დგას, ინგლისში გაემგზავრები, ოღონდ იცოდე, იქ კომუნიზმზე აგიტაცია არ გაბედო!“

და აი, ოცდაორ დეკემბერს ანტონ იდენი სპეციალური მატარებლით მოსკოვიდან მურმანსკში გაემგზავრა. მასთან ერთად იყო შვერნიკი თავისი დელეგაციით. დელეგაციაში ცამეტნი ვიყავით, მათ შორის ორი ქალი — საკავშირო კომუნისტური პარტიის მდივანი ნიკოლაევა და ფეიქართა ცენტრალური კომიტეტის პროფკავშირების თავმჯდომარე — მალკოვა. მაგრამ მურმანსკში მოხდა ერთი სასაცილო ამბავი, ინგლისელებმა უცებ განაცხადეს, რომ ნიკოლაევას და მალკოვას არ წაიყვანდნენ, ვინაიდან, მათი წესის მიხედვით, სამხედრო გემზე ქალებს ფეხის დადგმაც არ შეუძლიათ. ამ მდგომარეობიდან ბოლოს ივან მიხაილოვიჩ მაისკიმ გვიხსნა — ჩვენმა ელჩმა ლონდონში. მან ერთი ფაქტი შეახსენა ინგლისის ხელისუფლებას: **„ერთ-ერთი სამხედრო კრეისერის ბორტზე ავიდა ინგლისის სამეფო ოჯახის წევრი — ქალბატონი, რათა მისალმებოდა მატროსებსო და ჰკითხათ: — რატომ დაიშვებიან ინგლისელი ქალები სამხედრო ხომალდზე, ჩვენი ქალები კი არა, ეს რა, დისკრიმინაციაა?!“** ინგლისელებმა ვეღარაფერი გააწყვეს და წავედით...

ლონდონში ჩასულებმა ერთი თვის განმავლობაში ინგლისის ყველა ის ქარხანა დავათვალიერეთ, სადაც იარაღს აკეთებდნენ, სადაც კი მივედით, ყველგან ერთი და იგივე მეორდებოდა — ქარხნის ტერიტორიაზე, პარკსა თუ ქუჩაში უცებ პატარა ტრიბუნა გაჩნდებოდა, ავიდოდა იმ ტრიბუნაზე შვერნიკი და ასე ილაპარაკებდა დაახლოებით ათი-თხუთმეტი წუთი: **„ამხანაგმა სტალინმა მთხოვა. ბრიტანეთის მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის ეს რამდენიმე სიტყვა გადმომეცა: თუ თქვენ არ გინდათ, იყოთ ჰიტლერის მონები, დაეხმარეთ საბჭოთა ადამიანებს შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით, ხოლო თქვენი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეთ მხოლოდ მაშინ, როცა ომი დამთავრდება“...** და იცით, უცნაური ამბის მოწმე გავხდი. მიტინგის შემდეგ, რომელიც დაახლოებით ოცი-ოცდაათი წუთი გრძელდებოდა, გატრიალდებოდნენ მუშები, წავიდოდნენ საამქროებში და შეუდგებოდნენ მუშაობას... აი, ასეთი იყო სტალინის ავტორიტეტი! ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა, ვინაიდან შვერნიკს მაშინ ერთი ნაბიჯითაც არ ვშორდებოდი.

* * *

— ბიჭიკო, აბა ახლა იმ მოხუცის ამბავი მოგვიყევი, მოსკოვში სტალინის დაპატიჟებით რომ ჩამოვიდა და ასე უთხრა, მე შენ ერთი მაგრად გაგტყეპავო, — სთხოვა თავის მეგობარს ლეონტი ივანოვიჩმა.

გიორგი ალექსანდრეს ძემ გაიცინა, ჩაი მოსვა, ულვაშზე ხელი გადაისვა და მოყოლას შეუდგა:

— ეს იყო 1940 წელს. თუმცა, იმ მოხუცის ამბავი ჯერ კიდევ ოცდაცხრამეტი წლის შემოდგომაზე დაიწყო. ოქტომბრის თვეში მამა სტალინთან წავიდა, რათა მასთან ერთად ევახშმა, ვინაიდან, ჩვეულებრივ, თვეში მასთან ორჯერ-სამჯერ მაინც ვახშმობდა. ყოველთვის, როცა იქიდან შინ ბრუნდებოდა, გვეუბნებოდა, რომ სტალინთან იყო, მაგრამ, არ მახსოვს იქიდან როდისმე მთვრალი მოსულიყო.

თვითონ სტალინიც არასოდეს თვრებოდა, ვინაიდან მხოლოდ ორმოც-ორმოცდაათ-გრამიანი პატარა ჭიქით სვამდა, თან მშრალ ქართლის ღვინოს — ისე, როგორც შამპანური, ქართლის ღვინო ყველა სხვა ქართულ ღვინოებს შორის ცხრა-თერთმეტი გრადუსია. სუსტია, . და აი, სხედან იმ შემოდგომის ერთ საღამოს სავახშმოდ, უცებ სტალინი მამას ეკითხება:. „მითხარი, საშა, ცოცხალია დათა გასიტაშვილი?“... ალბათ იკითხავთ, დათა გასიტაშვილი ვინ არისო? ეს კაცი ბესარიონ ჯუღაშვილთან ქარგლად მუშაობდა, იყო გაცილებით უფროსი იოსებზე, ბავშვი ძალიან უყვარდა, ეთამაშებდა და როგორც ძიძას ან უფროს ძმას, ხელში აყვანილი დაჰყავდა... „რა თქმა უნდა, ცოცხალია, ოღონდ თითქმის უკვე ოთხმოცი წლისაა“, — უპასუხა მამამ და მეორე დღესვე თბილისის დაცვის მთავარ განყოფილებაში დარეკა. მაშინ ამ კავშირით ხშირად ვსარგებლობდი, ვინაიდან ზოგიერთი პროდუქტი თბილისიდან შემოდიოდა, განსაკუთრებით ღვინო ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და ბანკეტებისთვის.

ზუსტად ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ის მოხუცი უკვე მოსკოვში იყო. მამა შეხვდა, აგარაკზე მოიყვანა და მაშინვე სამთავრობო ტელეფონით დარეკა: „სოსო, დათა გასიტაშვილი უკვე ჩემთანაა!“ სტალინს ძალიან გაუხარდა და — აბა, ერთი მოიყვანე ეგ ტელეფონთანო! — ეუბნება. დიდხანს და თბილად ისაუბრეს, ისე რომ, მოხუცი ძალზე კმაყოფილი დარჩა. ყურმილი რომ დადო, სტალინთან საუბრის შესახებ მოხუცმა ყველაფერი სიტყვასიტყვით მოგვიყვა. ასე უთქვამს — საშამ რომ ჩამოგიყვანა, ძალიან გამიხარდა, შენი ნახვა ძალიან მინდა, როგორც კი დრო მექნება, მოხვალთ შენ და საშა, დავსხდებით სამივე და ერთი გემრიელად ვისაუბრებთო. — თუმცა, ცდა დიდხანს მოუწია. ისე, არც სტალინს უნდა დაუკარგო, ჯეროვნად უნდა დააფასო — დათას ყოველ კვირა ურეკავდა — მაპატიე, არ მინდა, მხოლოდ ხუთი წუთით შევხვდეთ, აი, მალე შევარჩევ რომელიმე საღამოს და დავსხდებით ორივენი საფუძვლიანადო. საწყალი დათა იმ ახალ წელსაც ჩვენთან შეხვდა აგარაკზე და 1940 წლის იანვარ-თებერვალ-მარტსაც, თუმცა სტალინი კვლავაც ძველებურად განაგრძობდა მასთან რეკვას.

ჩაიარა მაისის დღესასწაულებმა, ერთხელაც ვსხედვართ ერთ საღამოს მე და ჩემი სიძე და ჩემი დისშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ვსვამთ. ეს იყო ექვს მაისს. შვიდ საათზე მამა მოვიდა და მოულოდნელად დათას ეუნება: „აბა, მოემზადე ახლა სასწრაფოდ და წავედით სოსოსთან, ვახშმად გველოდება“.

რა თქმა უნდა, წავიდნენ. მე და ჩემმა სიძემ — გივი რატიშვილმა კიდევ ერთი ბოთლი გავხსენით და კარგად მოვილხინეთ. ის-ისაა, უნდა დამეძინა, რომ მესმის ტელეფონის რეკვა. საათს შევხედე — ღამის პირველი საათია, ტელეფონთან მივედი, ყურმილი ავიღე და მამა მეუბნება: „ბიჭიკო მოემზადე, მოვდივართ?“. ყურმილი დავდე და მაინც რისთვის უნდა მოვემზადო-მეთქი?! — გავიფიქრე, მაგრამ, მივხვდი, ნამდვილად სტალინი უნდა მოსულიყო. მაშინვე გავიქეცი და შურა გავაღვიძე — ის ქალი უკრაინელი იყო. მერე ჩვენი მთავარი მერიქიფე პავლიკა გავაღვიძე. მამამ ის საქართველოდან ჩამოიყვანა, მუშაობდა ღვინის საწყობის გამგედ და ღვინოებში მართლაც ღმერთივით ერკვეოდა. ვუთხარი, ის საუკეთესო ღვინო მოეტანა, რომელიც სტალინს უყვარდა.

ორ წუთში სუფრა უკვე გაშლილი იყო. მალე ჩვენ სახლს მანქანა მოადგა. წინა სკამიდან ვლასიკი გადმოხტა, კარი გააღო და მანქანიდან სტალინი, ბერია, მამა და დათა გადმოვიდნენ. მართალია, მაისი უკვე დაწყებული იყო, მაგრამ ღამღამობით მაინც საკმაოდ ციოდა და სტალინს ისევ შინელი ეცვა. სახლში შემოვიდა, შინელი გაიხადა და რომ ვნახე, ჩემი შინელი მის შინელზე უკეთესი იყო, უცებ შემრცხვა. საქმე ისაა, ჩემს შინელს აბრეშუმის სარჩული ჰქონდა, ხოლო იმისას — სატინის.

შინელი საკიდზე თავისი ხელით დაკიდა და ქართულად გვეუბნება: „ბედნიერი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში!“... დავსხედით მაგიდასთან. სტალინის შემდეგ ერთ მხარეს გასიტაშვილი, ბერია და მე ვსხედვართ, მეორე მხარეს — მამა, მისი ცოლი და ჩემი სიძე გივი. მამაჩემის მეორე ცოლი, ანუ ჩემი დედინაცვალი, წარმოშობით გერმანელი იყო და დაახლოებით ოცდახუთ თუ ოცდაექვს წელს თავისი ქალიშვილი გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნა, სადაც ის ებრაელს გაჰყვა ცოლად. იმ კაცის გვარი არ მახსოვს, სახელად ზიგხენი ერქვა. 1933 წელს ხელისუფლებაში ჰიტლერი რომ მოვიდა და ებრაელების შევიწროება დაიწყო, მოჰკიდა ხელი თავის ცოლს და დანიის გავლით ამერიკაში გაიქცა. მას შემდეგ ის ქალიშვილი ამერიკაში ცხოვრობს.

სტალინმა ჩემს დედინაცვალს რამდენჯერმე შეხედა და უცებ მამას ქართულად ეუბნება: „საშა, შენი ცოლი რაღაც ძალიან არის მოწყენილი, იქნებ ის არ მოსწონს, შენთან აქ სტუმრად რომ მოვედი?“ „რას ამბობ, სოსო, ასეთი რამ როგორ იფიქრე! საქმე ისაა, რომ ქალიშვილი დიდი ხანია, უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ეშინია, ჰგონია ამერიკასთან ომს დავიწყებთ“. სტალინმა ჩემს დედინაცვალს როგორღაც თბილად, ალერსიანად შეხედა, მარცხენა ხელი ულვაშზე გადაისვა, მარჯვენით ჭიქა აიღო და ამბობს: „პატივცემულო ლილი ჰერმანის ასულო, ნუ წუხხართ, ამერიკასთან ჩვენ არ ვიბრძოლებთ, — თქვა, ჩაფიქრდა, ჭიქა მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და სფინქსივით გაირინდა. გავიდა ერთი წუთი, ორი, გავიდა სამი წუთი... ის კი ზის და ულვაშზე ხელს ისვამს. ჩვენ მას თვალს არ ვაცილებთ, განძრევის გვეშინია. უცებ მარჯვენა ხელი ასწია, ულვაშები გაისწორა და ხმამაღლა წარმოთქვა: „ჩვენ ვიბრძოლებთ გერმანიის წინააღმდეგ, ინგლისი და ამერიკა ჩვენი მოკავშირეები იქნებიან! ნუ წუხხართ და ნუ ღელავთ!... თქვენი სადღეგრძელო იყოს“! — თქვა და ღვინო დალია.


ალექსანდრე ეგნატაშვილი

მე მგონი, იმ წუთებში ის რაღაც ძალიან სერიოზულზე ფიქრობდა... რაც არ უნდა იყოს, ის ქალი გერმანელია, ეშმაკმა უწყის, იქნებ აქვს კიდეც მათთან რაღაც კავშირები, ისინი იქნებ ომისთვისაც წააქეზოს-მეთქი, — გავიფიქრე...ეს იყო 1941 წლის ექვსი მაისი. ჩემი დისშვილი — გურამ რატიშვილი ომამდე ერთი წლის წინ სწორედ ექვს მაისს დაიბადა, ის ახლაც თბილისში ცხოვრობს.

* * *

— თუმცა, ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს...

— ერთი წუთით, — ასწია ხელი გიორგი ალექსანდრეს ძემ, — ათი დღის წინ გეორგ ტრუხანოვსკის წიგნს —„ჩერჩილს“ ვკითხულობდი, სადაც ის წერს, 1940 წელს მსოფლიოში ისეთი ვითარება იყო ივლისის თვეში, ვერ მიხვდებოდი, კოალიცია რა სახით ჩამოყალიბდებოდაო... თუმცა, ომი უკვე დაწყებული იყო, ინგლისი გერმანიას ებრძოდა, ამერიკა ინგლისს ეხმარებოდა, ჩვენ კი იმის გამო, რომ გერმანიასთან ხელშეკრულება გვქონდა, იძულებული ვიყავით, გერმანელებს რაღაც პროდუქტებით დავხმარებოდით. და აი, რას ამბობს ტრუხანოვსკი ამასთან დაკავშირებით: „ისეთი ვითარება იყო, შეუძლებელია, წინასწარ გაგეთვალისწინებინა, კოალიცია რა სახით ჩამოყალიბდებოდა“... ეს წიგნი რომ წავიკითხე, გამეცინა — „მე ხომ ჩემი ყურით მოვისმინე, რა თქვა მაშინ ამაზე სტალინმა, თქვენ კი ამბობთ“... ბელადმა ყველაფერი წინასწარ იცოდა, გეგმაც უკვე მონიშნული ჰქონდა...

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99, 103

◎ ევრო – 2016

გვაცადეთ, ბატონო...

ფეხბურთელთა XV ევროპული ჩემპიონატის სამი სასტარტო დღე ერთადერთი ფრით და აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში გატანილი სულ მცირე ერთი გოლით აღინიშნა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ისევე, როგორც ფრანგი პაიეს და ხორვატი მოდრიჩის ულამაზესი გოლები.

კარგია, აგრეთვე, ის კონდიციები, რომლითაც ბრძოლაში უკვე ჩაბმულთა აბსოლუტური უმრავლესობა, ჩრდილოირლანდიელთა გარდა, გადატვირთული საკლუბო სეზონის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად მომზადებული შეხვდა კონტინენტურ ფორუმს. ეს დებიუტანტ ალბანეთსაც ეხება. თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არა მარტო ფავორიტებს, არამედ „რიგითებსაც“ არსენალში საკმაოდ გააჩნიათ რესურსები, რომ თანდათან მოუმატონ და კიდევ უფრო შთამბეჭდავი სპექტაკლები დადგან.

სადებიუტო მატჩებში გულშემატკივრებს რამდენიმე შემთხვევაში ნავსის გატეხვის იმედიც ჰქონდათ, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ. მაგალითად, საფრანგეთისა და რუმინეთის გუნდების აქამდე გამართულ ცხრა თამაშში კარპატელებს ერთხელაც არ დაემარცხებინათ მრისხანე მეტოქე. მასპინძლებმა, მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამჯერადაც უერთგულეს ტრადიციას – 2:1, რითაც საერთო ბალანსი ექვს გამარჯვებამდე და ოთხ ზავამდე გაზარდეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ფეხბურთის სამშობლოს ნაკრებს აქამდე ანალოგიური ტურნირის არცერთი პირველი ჯახი არ მოეგო. როი ჰოჯსონის გუნდს სანუკვარ წარმატებამდე წამები აშორებდა, როცა ბერეზუცკის ზუსტმა თავვურმა დარტყმამ მისი ოცნება აუხდენელი დატოვა. სხვათა შორის, ინგლისი – რუსეთის მძაფრი დუელი მარსელის „ველოდრომის“ სარბიელს მიღმაც გაგრძელდა და ისეთ სკანდალში გადაიზარდა, შეიძლება გაუთვალისწინებელი სანქციები მოჰყვეს. საუბარია ბრიტანელი ლომებისა და რუსი დათვის „ქომაგთა“ მასობრივ ჩხუბზე, მის შედეგად დაშავებულ და დაპატიმრებულ ათეულობით ტურისტსა და უეფას მყისიერ რეაქციაზე, რომელიც მომხდარის გამოძიებას შეუდგა და უმკაცრესი ვერდიქტიც არ გამორიცხა გუნდების მოკვეთის ჩათვლით. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ესაა ტერაქტებში უკვე გამობრძმედილ ფრანგ ორგანიზატორთა მიერ გამოცხადებული უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები?!

„ა“ ჯგუფი

საფრანგეთი – რუმინეთი 2:1, ალბანეთი – შვეიცარია 0:1.

„ბ“ ჯგუფი

ინგლისი – რუსეთი 1:1, უელსი – სლოვაკეთი 2:1.

„გ“ ჯგუფი

პოლონეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 1:0, გერმანია – უკრაინა 2:0.

„დ“ ჯგუფი

თურქეთი – ხორვატეთი 0:1, ესპანეთი – ჩეხეთი – 1:0.

გიორგი შოთაძე

◎ მძლეოსნობა

სამი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“

მალტაში ევროპის მცირე ქვეყნების მძლეოსანთა ჩემპიონატი გაიმართა. სიგრძეზე ხტომაში რიოს ოლიმპიადის ლიცენზიატმა ბაჩანა ხორავამ 8.02 მეტრით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე იზმირ სმაილაი (ალბანეთი, 7.57) და კრისტინ ტორფასონი (ისლანდია, 7.05) გავიდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისელი სიმაღლეზე მხტომელი ვალენტინა ლიაშჩენკო, რომელმაც 190 სანტიმეტრი დაძლია. 175 სანტიმეტრით ვერცხლის მედლები კლაუდია გურმა (ანდორა) და მლადენა პეტრუსიჩმა (ბოსნია) დაიმსახურეს.

ორი მედალი მოიპოვეს ისრაელის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ქართველმა მძლეოსნებმა. თემურ აბულაშვილმა ბადრო 49.74 მეტრზე ტყორცნა და პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი მუჯარიძე ბირთვის კვრაში (17.20) მეორე იყო.

თამაზ პატარიძე

◎ რაგბი

მართლაც საპატიო ფრე

ჩვენი ქვეყნის მორაგბეთა ნაკრებმა (კვირიკაშვილი (მალაღურაძე, 72), ფრუიძე (მჭედლიძე, 72), კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე, ბეგაძე (ხუციშვილი, 59), ასეიშვილი (ჟვანია, 51), ბრეგვაძე (მამუკაშვილი, 51), მირცხულავა (ფეიქრიშვილი, 51), ჩხაიძე (ჭეიშვილი, 71), ნემსაძე, სუთიაშვილი (შუბითიძე, 71), თხილაიშვილი, ლომიძე) ივნისის ტესტების პირველი მატჩი სამოას დედაქალაქში გამართა. პირველი ტაიმი სტუმართა უპირატესობით წარიმართა. „ბორჯღალოსნებმა“ ის 9:6 მოიგეს. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, ხუთ წუთში ჯერ წონასწორობა აღადგინეს და ლელოც გაიტანეს – 16:9. ქართველებს ანგარიშის გასათანაბრებლად დიდი დრო არ დასჭირვებიათ – 16:16. ორთაბრძოლის ბოლომდე მეტოქეებმა თითო საჯარიმო გაცვალეს და მატჩიც ფრედ დამთავრდა – 19:19.

ივნისის ტესტებზე ორი პაექრობა მოულოდნელი ანგარიშით დასრულდა: ინგლისის ნაკრებმა სტუმრად სძლია ავსტრალიის ეროვნულ გუნდს – 39:28, ირლანდიელებმა კი ასევე სტუმრად სამხრეთ აფრიკას 26:20 აჯობეს.

არადა, მოგებაც შეიძლებოდა

საქართველოს 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრა უელსის ნაკრებთან გამართა. პირველი მატჩისგან განსხვავებით, ჩვენებმა ამჯერად დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს. ამის მიუხედავად, უელსელებმა მე-5 წუთზე პირველივე იერიში ლელოთი დაასრულეს და გარდასახვაც უნაკლოდ გამოიყენეს. საფინალო სასტვენამდე მათ ერთი ჯარიმაც ზუსტად დაარტყეს, ხოლო ქართველთაგან გელა აფრასიძემ 9 ქულა შესძინა გუნდს. ორთაბრძოლის მიწურულს მას გამარჯვების მოტანაც შეეძლო, მაგრამ ცენტრიდან დარტყმული ბურთი ხარიხის ქვეშ დაეცა. უელსელებმა 10:9 გაიმარჯვეს. ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მოდებაძე, მიმინოშვილი, კოშაძე, კვესელაძე, მერკვილიშვილი, მოძღვრიშვილი (ლობჟანიძე, 54), აფრასიძე, მატარაძე (ნეფარიძე, 50), ხუროშვილი (გოგინავა, 48), ტაბიძე (მელიქიძე, 48-70), ეფრემიძე, გიორგაძე, სპანდერაშვილი (ცხადაძე, 64), ცუცქირიძე, გორგაძე.

მეორე ტურში ორი სენსაცია მოხდა: ჩვენს ჯგუფში მოასპარეზე ირლანდიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონ ახალ ზელანდიას მოუგო – 33:24. არგენტინელებმა კი სამხრეთ აფრიკას სძლიეს - 19:13.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

კალაშნიკოვამ წყვილებში გაისრესა

ჰოლანდიურ ჰერცოგენბოშში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) წყვილებში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ (რეიტინგით წყვილებში 51-ე) იაროსლავა შვედოვასთან (ყაზახეთი, მე-8) ერთად. ქართულ-ყაზახურმა დუეტმა სტარტზე ვერა დუშევინასა (რუსეთი, 93-ე) და ელენა ოსტაპენკოს (ლატვია, 191-ე) სძლია – 7:5, 6:3, შემდეგ ჩეხები – ლენკა კუნჩიკოვა (130-ე) და კაროლინა სტუხლა (131-ე) დაამარცხა – 7:6, 2:6, 10:7. ნახევარფინალში მათ ალექსანდრა პანოვას (რუსეთი, 62-ე) და ამრა სადიკოვიჩს (შვეიცარია, 185-ე) აჯობეს – 6:1, 6:3. მეორე ნახევარფინალში ქსენია კნოლმა (შვეიცარია, 66-ე) და ალექსანდრა კრუნიჩმა (სერბეთი, 61-ე) ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 88-ე) და ალისონ ვან ეიტვანკი (ბელგია, 197-ე) ჩამოიშორეს გზიდან - 4:6, 6:1, 10:6. გადამწყვეტ პაექრობაში კალაშნიკოვამ და შვედოვამ კნოლი და კრუნიჩი იოლად დაჯაბნეს – 6:1, 6:1 და მთავარ პრიზთან ერთად 280-280 სარეიტინგო ქულა დაიმსახურეს.

მოსკოვის 75.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში ალექსანდრე მეტრეველმა დმიტრი პოპკოსთან (ყაზახეთი) ერთად იასპარეზა. მან ნახევარფინალში დავიდ პერეს სანსი (ესპანეთი) და რამკუმარ რამანატხანი (ინდოეთი) დაამარცხა – 3:6, 6:3, 10:7 და ფინალში გავიდა, მაგრამ იქ სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია ფაკუნდო არგუელოსა (არგენტინა) და რობერტო მაიტინის (ვენესუელა) – 2:6, 5:7 წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

◎ თბილისი და თბილისელები

ეს მაინც აღარ გვტკივდეს...

გაზაფხულიდან **მოყოლილმა უამინდობამ ყველანი ერთიანად კი შეგვაწუხა, მაგრამ შარშან, 13 ივნისს ვერეს ხეობის უბედურებასთან შედარებით, ნალექის წლევანდელი სიჭარბე არანაირად მოსატანი არ არის.**

სტიქიას, მით უმეტეს მის მოურიდებლობას და, გნებავთ, გამძვინვარებას სავალალო შედეგი მოჰყვა, – რასაც ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე შეეწირა: დაიღუპა ოცი კაცი, ორი ადამიანი დღევანდლამდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. ეს, ცხადია, აუნაზღაურებელი დანაკლისია და თითოეული ჩვენგანის უდიდესი სატკივარი, თუმცა კი, დარწმუნებული ვარ, ამის თავის არიდება სავსებით შესაძლებელი იყო. ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც უწინ დაშვებულ შეცდომებს – ნებსით თუ უნებლიეთ – დღეს ასწორებს.

შარშან, თვალის ერთი გადავლებით უწყინარმა ღელემ ერთიანად წალეკა საკუთარი ქვედა წელი და, ადამიანთა სიცოცხლის ზვარაკთან ერთად უამრავი სხვა უბედურება მოუტანა დედაქალაქს.

ოფიციალური სტატისტიკით, სტიქიის შემოტევის შედეგად ორასზე მეტი ოჯახი და ათასზე მეტი ფიზიკური პირი დაზარალდა. განადგურდა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. ქალაქის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის კოჯორ-სამადლოს დამაკაშვირებელი გზა, ახალდაბა-წყნეთის გზის მონაკვეთი, თამარაშვილის ქუჩა – გმირთა მოედნის, ზოოპარკისა და „მზიურის“ ტერიტორიები, სატრანსპორტო საშუალებები, ცხოველთა კო-

ახალი ხიდი-ჯებირი ხეობაში

ლექციის დიდი ნაწილი. ყველაფერ ამას ჯერაც მოუშუშებელი იარების გასაღიზიანებლად კი არ ვამბობ, არამედ განვლილი წლის განმავლობაში ჩვენს თავს დატეხილი წყლის მოვარდნის შედეგად დედაქალაქისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად და უამრავი საქმე გაკეთდა კიდეც, უწინარესად, თბილისის თანამოქალაქეთა თაოსნობით: სამაშველო და გაწმენდით სამუშაოებში 10 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. უპირველესად კი ახალგაზრდა მოხალისეთ, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით. თავი, რა გასაკვირია, არც უფროსი თაობის ხალხს დაუზოგავს, მით უმეტეს დედაქალაქის მესვეურთ და მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლებს, თუმცა კი იმასაც ვიტყვი, რომ მოქალაქეობრივის გარდა, ეს მათი სამსახურებრივი მოვალეობაცაა, რასაც თავი პირნათლად გაართვეს.

კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გასული კვირის მიწურულს თბილისის მერი დავით ნარმანია საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და სტიქიის შემოტევის შედეგების სალიკვიდაციოდ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ვრცელი ანგარიში წარუდგინა.

ბატონ დავით ნარმანიას განცხადებით, მდინარე ვერეს აბობოქრების შედეგად, შარშან, უშუალოდ, ორასზე მეტი ოჯახი და ათასზე მეტი კონკრეტული პირი დაზარალდა. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ დაზარალებული მოსახლეობისა და ქალაქისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად უმალ შეიქმნა საგანგებო დახმარების ფონდი, რომელშიც საკუთარი სახსრები თბილისელებმა, ქვეყნის მოსახლეობამ, საზღვარგარეთ მცხოვრებმა თანამემამულეებმა, ჩვენმა უცხოელმა მეგობრებმა, სხვადასხვა ფინანსურმა ჯგუფმა (მათ შორის საგანგებოდ აღსანიშნავია „ქართუ ჯგუფი“) და, ყველასთან ერთად, დროებით სტუმრად ჩამოსულმა პირებმა შეიტანეს, რისთვისაც კიდევ ერთხელ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

მოყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მთლიანად 26 მილიონი ლარი შეგროვდა. თავმოყრილი და დედაქალაქის მმართველების მიერ გამოყოფილი სახსრები დაზარალებული მოსახლეობის დაბინავებისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდა.

ამჟამად მიმდინარეობს მდინარე ვერეს სავარაუდო „აბობოქრების“ საწინააღმდეგო პრევენციული სამუშაოები, მათ შორის დანგრეული გზების აღდგენა, გვირაბებისა და ხიდების აშენება-მოწესრიგება, საყრდენი კედლების გამაგრება და სხვა.

დედაქალაქს თავს დატეხილმა შარშანდელმა უბედურებამ, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ჩვენს საერთო საცხოვრისს, რომელსაც ულამაზესი და უთბილესი სახელი – თბილისი!!! – ჰქვია, – მით უმეტეს მის მოქალაქეებს – დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდება, რაც ამას ყოველგვარი საყვედურის გარეშე ვამბობ – თბილისის თვითმმართველობას აკისრია.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გვირაბი და დამცავი ჯებირი

ეპიტაფია

კაცი, რომლის ღვაწლი თაობიდან თაობას გადაეცემა

აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის ხსოვნას



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი, გამოჩენილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ნიუ-იორკის, შვეიცის, ვაშინგტონის, გერმანიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი, მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ექსპერტი, საქართველოს ათეროსკლეროზის ასოციაციის პრეზიდენტი **ნოდარ ყიფშიძე**.

ნოდარ ყიფშიძე დაიბადა 1923 წლის 12 ოქტომბერს ქ. თბილისში საყოველთაოდ ცნობილი ექიმის ნიკოლოზ ყიფშიძის ოჯახში. იგი 1941 წელს წარჩინებით ამთავრებს საშუალო სკოლას და იმავე წელს ირიცხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელსაც ასევე წარჩინებით ამთავრებს 1946 წელს.

1951 წლის დეკემბერში წარმატებით დაასრულა ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა „თერაპიის“ სპეციალობით და 1952 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო ქ. მოსკოვის სსრკ სამედიცინო აკადემიის თერაპიის ინსტიტუტის დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ 1963 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

ძალზე მდიდარი და შთამბეჭდავია ნ. ყიფშიძის შრომითი, საზოგადოებრივი, პედაგოგიური და სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა. მას 1957 წელს იწვევენ ქ. ნიუ-იორკში (აშშ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ექიმად, სადაც დაჰყო 1959 წლამდე, 1963-1965 წლებში მივლინებული იყო ჟენევაში (შვეიცარია), მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციაში სამუშაოდ – ბიოლოგიის, ფარმაკოლოგიისა და თერაპიის სამმართველოს დირექტორად.

აკადემიკოსი ნოდარ ყიფშიძე იყო მეცნიერების დიდი ორგანიზატორი. ის გახლდათ საქართველოს კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი.

აკადემიკოსი ნ. ყიფშიძე იყო ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული 700-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 200-მდე გამოქვეყნებულია უცხოეთში, 20 მონოგრაფიის, 22 გამოგონების ავტორი, რომლებიც ძირითადად ეძღვნება ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, მიოკარდიის ინფარქტის, ღვიძლისა და ფილტვის არასპეციფიკურ დაავადებათა ეთიო-პათოგენეზის, კლინიკისა და მკურნალობის საკითხებს.

ნ. ყიფშიძის მთელ რიგ გამოკვლევებში ფართოდ არის გამოყენებული უახლესი ელექტროფიზიოლოგიური მეთოდები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაშრომები, სადაც შესწავლილია ტვინში სისხლის მიმოქცევის თავისებურებანი ჰიპერტონიული დაავადებების დროს. მის მიერ, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, გულის დაავადებათა მკურნალობისათვის გამოყენებულ იქნა ინტრაკარდიალური და ინტრავენური ლაზეროთერაპია. აღნიშნული მეთოდი დანერგილია კლინიკაში და დიდი წარმატებით გამოიყენება როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის სამედიცინო დაწესებულებებში. ამ მნიშვნელოვანი სამკურნალო მეთოდების შექმნისა და დანერგვისათვის 1981 და 1989 წლებში აკად. ნ. ყიფშიძემ თანამშრომლებთან ერთად სახელმწიფო პრემიები დაიმსახურა.

აკად. ნ.ყიფშიძეს ინტენსიური კავშირურთიერთობა ჰქონდა უცხოეთის მრავალი ქვეყნის სხვადასხვა საზოგადოებებსა და ორგანიზაციებთან, ხოლო ზოგ შემთხვევაში წამყვანი თანამდებობებიც ეკავა. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემსწავლელი კომიტეტის ექსპერტი. 1966-1968 წლებში არჩეული იყო შვეიცის სამედიცინო საზოგადოების, გფრ-ის და გდრ-ის თერაპევთა და კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი, უნგრეთის ათეროსკლეროზის საზოგადოების წევრი.

აკად. ნ. ყიფშიძე, როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე, იყო საქართველოს თერაპევთა და გერონტოლოგთა საზოგადოებების, საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის „ექიმები ბირთვული ომის წინააღმდეგ“ თავმჯდომარე, რამდენიმე უცხოური სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკად. ნ. ყიფშიძე დიდ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ყოველივე ამის შედეგია ის, რომ აკად. ნ. ყიფშიძის ფასდაუდებელი მრავალმხრივი მოღვაწეობა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი, საპატიო სიგელით თუ მედლით იქნა აღიარებული.

აკად. ნ. ყიფშიძე იყო გამორჩეული და მოსიყვარულე მეოჯახე, შვილების კარგი აღმზრდელი და ქვეყნისთვის თავდადებული პიროვნება. მან სიკეთის, სათნოებისა და კაცურკაცობის შესანიშნავი კვალი დატოვა ამ ქვეყნად.

ამიტომაც ძნელია, შეურიგდე იმას, რომ ბატონი ნოდარი ჩვენს შორის აღარაა. მაგრამ ისეთი პიროვნებები, როგორიც აკადემიკოსი ნოდარ ყიფშიძე გახლდათ, არ კვდებიან. მათი ღვაწლი თაობიდან თაობას გადაეცემა და მუდამ დაუვიწყარი დარჩება მათ ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი

ნოდარ ყიფშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 13 VI, 16 სთ. მისამართი: ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 9; გამოსვენება 14 VI, 15 სთ. (ქაშვეთის ეკლესიიდან). დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს ათეროსკლეროზის ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების პრეზიდენტი, დიდი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და სამედიცინო სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელი, აკადემიკოსი

ნოდარ ყიფშიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება თავისი ძველი და დიდი მეგობრის, თვალსაჩინო კარდიოლოგის, აკადემიკოს

ნოდარ ყიფშიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

209 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცათ

საქართველოს მთავრობა იძულებით გადაადგილებულ 209 ოჯახს საცხოვრებელ ფართს მუდმივ საკუთრებაში გადასცემს, – როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, 2012 წლიდან დღემდე, მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია თითქმის 12 ათასი ოჯახი.

„ეს ჯამში უკვე 11 854 ოჯახია და ეს პროცესი გაგრძელდება. ეს არის ჩვენი მოვალეობა და ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ამ ადამიანებს სტაბილურად მუდმივი საცხოვრებელი ექნებათ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქონელი ზედნადების გარეშე, თაღლითურად გადაჰქონდა

45176,00 ლარის ღირებულების სამეწარმეო საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის (ტანსაცმელი) სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა 3 ივნისს ქ.სენაკში.

მონიტორინგის მიზნით, ელექტრონულ სასაქონლო ზედნადებზე გადამოწმდა ფორდის მარკის ა/მანქანა, რომლითაც ხორციელდებოდა ერთ-ერთი შპს-ს სამეწარმეო საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის ტრანსპორტირება ელექტრონული სასაქონლო ზედნადების გარეშე. ფაქტთან დაკავშირებით, საქონლის რაოდენობისა და საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ექსპერტიზის განყოფილების მიერ ჩატარდა შესაბამისი შემოწმება. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული საქონლის საბაზრო-საორიენტაციო ღირებულებამ შეადგინა 45176,00 ლარი.

დაკავებულია მექრთამე რეინჯერი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ კახეთის რეგიონული სამსახურის თანამშრომელი ივანე გვიმრაძე დააკავა.

ბრალდებულმა, 650 ლარის ოდენობის ქრთამის სანაცვლოდ, ერთ-ერთ მოქალაქეს უფლება მისცა, მის დაქვემდებარებაში არსებული სატყეო უბნის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად შესულიყო და უკანონოდ მოეჭრა დიდი ოდენობით ხეტყის სამასალე და საშეშე მერქანი.

◎ უცხოელის თვალით

აფხაზეთი მსოფლიოს ჯერ კიდევ აუთვისებელი ტურისტული საგანძურია!

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The Christian Science Monitor“-ის სტატიაში (ავტორი – ფრედ უეირი) გადმოცემულია საქართველოს სეპარატისტული რეგიონის – აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ტურისტულ პოტენციალს, საკურორტო შესაძლებლობებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ვრცელი პუბლიკაცია იწყება რიწის ტბაზე მიღებული შთაბეჭდილებებით, რომელიც ამერიკელმა ჟურნალისტმა საკუთარი თვალით ნახა: **„რიწის ტბა – ესაა ალპური მარგალიტი, რომელიც კავკასიის ტყითა და თოვლით დაფარული მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. აქ არის აგარაკი, რომელშიც ადრე იოსებ სტალინი ისვენებდა ხოლმე“.**



სტატიაში აღნიშნულია, რომ სუბტროპიკულ აფხაზეთს, „კავკასიის შავიზღვისპირა რივიერას“, ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: „აფხაზეთი საქართველოსაგან გამოყოფილი რეგიონი და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სახელმწიფოა – რუსეთმა მისი სუვერენიტეტი 2008 წელს ოფიციალურად სცნო, საქართველოსთან მომხდარი ომის შემდეგ. აქ, ამ შავიზღვისპირა რესპუბლიკაში, ბევრია პლაჟი, ხელშეუხებელი მთიანი ბუნება, მსოფლიოში ყველაზე ღრმა კარსტული მღვიმეები, ცხელი მინერალური წყაროები, ბიზანტიის იმპერიის დროინდელი ეკლესია-მონასტრები... მოკლედ, აფხაზეთი მსოფლიოს ჯერ კიდევ აუთვისებელი ტურისტული საგანძურია, მაგრამ ჯერჯერობით აფხაზეთში მხოლოდ რუსები ისვენებენ. შარშან ამ იდეალურ დასასვენებელ რეგიონს მილიონნახევარი რუსი ტურისტი ეწვია. აქ რუსულ ენაზე საუბრობენ, რუსული ვალუტა ბრუნავს, რუსეთის მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ... მართალია, უმაღლესი დონის მდიდრული სასტუმროები ჯერ არ არის, მაგრამ რადგანაც მოსახლეობა მეგობრულადაა განწყობილი, რესტორნები ძალზე იაფია, ბუნება კი მიმზიდველი, ასეთ დროს სამვარსკვლავიანი სასტუმროც კი სასახლედ გეჩვენება. აფხაზეთში ჩასვლა ყველაზე ადვილად რუსეთიდან შეიძლება“, – წერს ავტორი, რომელიც საოკუპაციო რეჟიმის ტურიზმის მინისტრს ავთანდილ ღურწკაიას ესაუბრება: **„ჩვენ ფოკუსირებულები ვართ ეკონომიკურ ტურიზმზე. ვიცით, რომ ჩვენთან მდიდარი ევროპელები არ ჩამოვლენ, რადგან მათ აფხაზეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური სტატუსი აშინებთ. ისინი საქართველოს მიერ დაწესებულ სანქციებს უფრთხიან, რომლის თანახმად, ყველა დაისჯება, ვინც კი უკანონოდ გადალახავს საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის საზღვრებს“.** აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2015 წელს ამერიკელებისათვის მხოლოდ 15 ვიზაა გაცემული.

ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსული ინვესტიციების მიზიდვას დღეს მოქმედი კანონმდებლობა ხელს უშლის, მაგალითად, უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის ამკრძალავი კანონი. დაგეგმილი იყო მასში ცვლილების შეტანა, მაგრამ პარლამენტმა განხილვა გადადო.

დღეს, როცა გეოპოლიტიკური კრიზისების გამო, ეგვიპტისა და თურქეთის კურორტები დახურულია, რუსი ტურისტები დასასვენებლად ყველაზე მეტად შავი და აზოვის ზღვის ნაპირებზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე მიემგზავრებიან, ანუ საზღვაგარეთული ტურიზმი შიდა ტურიზმმა მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა. „რუსებისათვის მცხუნვარე ქვიშიან პლაჟზე დასვენება ყოველთვის პოპულარული იყო. ისინი ჩრდილოურ ქვეყანაში ცხოვრობენ, ცივ პროვინციებში, მათთვის სამხრეთული მზე და შვებულების სამხრეთში გატარება საოცნებოა“, - ამბობს ამერიკელ ჟურნალისტთან საუბარში სოჭის უნივერსიტეტის რექტორი გალინა რომანოვა.

პუბლიკაციაში, აფხაზეთთან ერთად, მიმოხილულია რუსეთის შავიზღვისპირეთის კურორტები და, რასაკვირველია, აქცენტი გადატანილია ყირიმზე, სოჭსა და მის შემოგარენზე.

* * *

ამერიკელმა ჟურნალისტმა ფრედ უეირმა ბოლო ხანებში გაზეთ „ქრისჩენს საიენს მონიტორში“ აფხაზეთის შესახებ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. იგი სოხუმში იმყოფებოდა და არაღიარებული ქვეყნების საფერხბურთო ჩემპიონატსაც დაესწრო, რომელც „კონიფას“ ეგიდით ჩატარდა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

სამოძალაძე ავიაციის მფრინავის პროფესიამ გმირობის შარავანდედი მას შემდეგ დაკარგა, რაც თვითმფრინავებში საპირფარეშოები გაჩნდა....

* * *

ალკოჰოლის მოხმარება ავნებს თქვენს ჯანმრთელობას, მოუხმარებლობა კი – რეპუტაციას გილახავთ.

* * *

დიდი ქალაქის ერთ-ერთ ხალხმრავალ გზაჯვარედინზე უამრავი ხალხია შეგროვილი.

– რა იყო, რა მოხდა, ამდენი ხალხი რამ შეყარა, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა? – ეკითხება გამვლელი პოლიციელს.

– არაფერი არ მომხდარა, ბატონო, ოღონდ ყველას უნდა, რომ ამაში საკუთარი თვალით დარწმუნდეს, – პასუხობს პოლიციელი.

* * *

– **ცოლად** რომ გამოგყვები, ჭეშმარიტად ბედნიერს გაგხდი!

– რაო, ერთ ყუთ ვისკის მიყიდი?

– არა, რა ვისკი, მე გპირდები, რომ ნამდვილ ბედნიერებას განგაცდევინებ!

– მაგას ვერ შეგპირდები, ძვირფასო, იმიტომ რომ ვისკის გარეშე ძალიან მწირი შანსები გაქვს...

* * *

ცხოვრებაში ფულის დაზოგვა ორ რამეში არ შეიძლება: ჯანმრთელობაში და ალკოჰოლში.

* * *

– **შუა** საუკუნეებში ინტერნეტი არ იყო, ამიტომაც, ალბათ, ცხოვრებაც ძალზე მოსაწყენი იყო...

– კი, როგორ არა... სისხლიანი რეპრესიები, დამპყრობთა შემოსევები, შავი ჭირის ეპიდემიები, რაინდების ტურნირები, ინკვიზიცია... მართლაც მოსაწყენია...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, მ. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.142; ევრო - 2.386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.087;
100 რუბლი - 3.199; თურქული ლირა - 0.726;
აზერბაიჯანული მანათი - 1.442;
1000 სომხური დრამი - 5.475

ამინდი 14 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +22
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +21
თბილისი:	ღამე +15,	დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE